უნდა აღინიშნოს ისიც, ამავე კანონის მიხედვით არასრულწლოვან პაციენტს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მკურნალობის შესახებ (მუხლი 43), თუმცა აქვე არის მითითებული, ინფორმაციის მიწოდებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ბაგშვის ასაკი და მისი გონიერების განვითარების დონე.

ყოველივე ზემოაღნიშნული, მიუთითებს რომ მნიშვნელოვანია, რომ ბავშვისათვის გასაგებ ენაზე, მისი ასაკის, აღქმის და გონებრივი შესაძლებლობის გათვალისწინებით მისთვის გასაგებ ენაზე ექიმისაგან მიიღოს ინფორმაცია თავისი დაავადების, აუცილებელი სამედიცინო მანიპულაციების, სარეაბილიტაციო საშუალებების, მკურნალობის მეთოდების და წამლის მიღების წესების შესახებ.

ბავშვის უფლებათა კონვენციის მიხედვით (მუხლი 5), ყველა სახელმწიფო სადაც რატიფიცირებულია ბავშვის უფლებათა კონვენციია პატივს მიაგებს მშობლებისა და მეურვეების მოვალეობებს და მხარს უჭერენ მათ, ბავშვის უნარები განვითარების ხელშეწყობასთვის.

სამედიცინო მომსახურების პროცესში მნიშვნელოვანია სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის გალდებულება, გამოიკვლიოს

ნებისმიერი მკურნალობის ჩასატარებლად ბავშვთა გონებრივი შესაძლებლობები, მათი შეხედულებები ამ მკურნალობის შესახებ და მათ უფლებამოსილებას მიიღონ გადაწყვეტილება დათანხმდებიან თუ არა შემდგომ მკურნალობაზე. ბავშვებისათვის სამედიცინო მომსახურების დროს ექიმმა და სხვა სამედიცინო პერსონალმა ერთდროულად უნდა ითანამშრომლოს ბავშვებთან და მშობლებთან; სრულად ჩართონ ისინი მკურნალობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილების მიღებაში. ბავშვი უფლებამოსილია დათანხმდეს ან უარი განაცხადოს მკურნალობაზე, მაშინ როცა მშობელს აქვს საწინააღმდეგო შეხედულება. ეშირად ეს უკანასკნელი წარმოადგენს დილემას სამედიცინო პერსონალისთვის, როცა აღგილი აქვს აზრთა სხვადასხვაობას. როგორ უნდა გადაიჭრას საკითხი, ვისი აზრია მნიშვნელოვანი.

საქართველოს კანონში „პაციენტის უფლებების შესახებ“ განხილულია ის შემთხვევები როცა არსრულწლოვანი პაციენტი წინააღმდეგია ინფორმაცია მიეწოდოს მშობელს ან მის კანონიერ წრამომადგენელს (მუხლი 40, 2). თუ 14-18 წლამდე არასრულწლოვანი პაციენტი, რომელიც ითვლება ქმედუნარიანად, სამედიცინო პერსონალის შეხედულებით სწორად აფასებს საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობას და რომელმაც ექიმს მიმართა სქესობრივად გადამდები დაავადების ან ნარკომანიის მკურნალობის, კონტრაცეფციის არაქირურგიული მეორედების გამოყენების შესახებ კონსულტაციის და ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის (აბორტის) მიზნით.

საქართველოს კანონმდებლობა არასრულწლოვანი პაციენტისათვის ინფორმაციის მიწოდების დროს ერთის მხრივ ითვალისწინებს „ბავშვის უფლებათა კონვენციით“ მითითებიულ დებულებებს რომ მნიშვნელოვანია ბავშვის უფლებათა დაცვისათვის ბავშვთან თანამშრომლობა; ხოლო მეორეს მხრივ საქართველოს კანონმდებლობა ინფორმაციის გაცემისას არასრულწლოვანი პაციენტისათვის ეყრდნობა მის ასაკს, გონებრივ განვითარებას და გარკვეულ შემთხვევებში უპირატესობასა ანიჭებს მათ სურვილებს ინფორმაციის სხვა პირზე, მათ შორის მშობელზე და კანონიერ წარმომადგენლზე გაცემის დროს.

### ინფორმირებული თანხმობა

ნებისმიერი ჩარეგა სამედიცინო მომსახურების პროცესში უნდა ჩატარდეს პირის მიერ ნებაყოფილობით გაცხადებული, გააზრებული თანხმობის მიღების შემდეგ. პირს წინასწარ

უნდა მიეცეს ინფორმაცია ჩარევის მიზნებისა და ხასიათის, აგრეთვე შედეგებისა და საფრთხეების შესახებ.

ექიმმა უნდა მიიღოს ინფორმირებულ თანხმობა- პაციენტისათვის რაიმე სახის სამედიცინო მომსახურების გაწევამდე. იქნება ეს სადაიაგნოსტიკო გამოკვლევა, სამკურნალო თუ საპროფილაქტიკო დონისძიება. პაციენტი თუ არასრულწლოვანია (დაწვრილებით იხილე ქვემოთ) ან რაიმე სხვა მიზეზის გამო არ აქვს გადაწყვეტილების მიღების უნარი, მაშინ ინფორმირებულ თანხმობას აცხადებს პაციენტის ნათესავი ან კანონიერი წარმომადგენელი.

თანხმობის გაცხადება შეიძლება იყოს, როგორც ზეპირი ისე წერილობითი. კანონი ზუსტად აყალიბებს ჩამონათვალს, როცა აუცილებელია პაციენტისაგან წერილობითი თანხმობა (საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ”, მუხლი 22, და საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ” მუხლი 44), როგორიცაა ნებისმიერი ქირურგიული ოპერაცია, გენეტიკური ტესტირება და სხვა, ასევე უკეთის შემთხვევა, თუ სამედიცინო მომსახურების გამწევი საჭიროდ ჩათვლის წერილობით ინფორმირებულ თანხმობას.

თუ პაციენტი ქმედუუნარაოა, ანუ მას არ შეუძლია გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღება და პაციენტი საჭიროებს გადაუდებელ სამედიცინო ჩარევას, ხოლო ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის მოძიება ვერ ხერხდება, სამედიცინო მომსახურების გამწევი იდებს გადაწყვეტილებას პაციენტის ჯანმრთელობის ინტერესების შესაბამისად (საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ: მუხლი 25, 2). სამედიცნო პერსონალის ამ ვალდებულების შესახებ გაცხადებულია საქართველოს კანონში „საექიმო საქმიანობის შესახებ” და „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ”.

პაციენტის გამოყენება სასწავლო ობიექტად საუნივერსიტეტო კლინიკაში შესაძლებელია მხოლოდ მისი ინფორმირებული თანხმობის შემდეგ. პაციენტის თანხმობა არ არის აუცილებელი მხოლოდ მაშინ, თუ სასწავლო მიზნით გამოიყენება, პაციენტის სამედიცინო დოკუმენტაციაში არსებული ინფორმაცია, რის მიხედვით შეუძლებელია პაციენტის იდენტიფიცირება; ან ისეთ შემთხვევაში თუ სასწავლო პროცესში გამოიყენება პაციენტის მკურნალობისა და დიაგნოსტიკის პროცესში მიღებული მასალა (შარდი, სისხლი, სხვა ქსოვილები),

რომლითაც უზრუნველყოფილია პაციენტის ანაონიმურობა.

ინფორმირებული თანხმობა წინ უნდა უსწრებდეს ასევე პაციენტის რაიმე კვლევაში ჩართვის პროცესს. ადამიანის, როგორც ბიოსამედიცინო კვლევის ობიექტს წინასწარ უნდა მიეწოდოს ინფორმაცია კვლევის მიზნების, მეთოდების, მოსალოდნებული შედეგების, კვლევის რისკისა და მასთან დაკავშირებული დისკომფორტის შესახებ. სამედიცნო-ბიოლოგიური კვლევა არ უნდა ჩატარდეს მასში მონაწილე პირის წერილობითი ინფორმირებული თანხმობის გარეშე. თუმცა კვლევის ნებისმიერ ეტაპზე მას შეუძლია უარი განაცხადოს კვლევაში მონაწილეობაზე, მიუხედავად წინასწარ გაცხადებული წერილობითი თანხმობისა.

### არასრულწლოვანი პაციენტის ინფორმირებული თანხმობა

ბავშვის უფლებათა კონვენციის მიხედვით, ის სახელმწიფოები სადაც კონვენცია არის რატიფიცირებული (11, 14, 15, 16) უზრუნველყოფებავშვის უფლებას, რათა თავისუფლად გამოხატონ თავიანთი შეხედულებები, რაც სათანადოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული მათი ასაკისა და განვითარების შესაბამისად. ( მუხლი 12).

უფრო კონკრეტულად, ამ მუხლის მიხედვით: უკეთ ბავშვი უფლებამოსილია, გამოხატოს საკუთარი აზრი ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით; უკეთ ბავშვი უფლებამოსილია, კომენტარი გააკეთოს მათზე მოქმედ ყველა საკითხთან დაკავშირებით, მიუხედავად მისი მდგომარეობისა; საზოგადოება ვალდებულია, გაიზიაროს ბავშვთა შეხედულებები, პატივი სცეს მათ და მათი მხედველობაში იქნეს მიღებული; საზოგადოება ვალდებულია ბავშვების შეხედულებები მიღონ მათი ასაკისა და განვითარების შესაბამისად ბავშვის, როგორც არასრულწლოვანი პაციენტის უფლება მათი შეხედულებების გათვალისწინების შესახებ სამედიცინო მომსახურების პროცესში, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით განიხილება ასაკორივ ასპექტში. კერძოდ 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვან პაციენტს სამედიცინო მომსახურება უტარდება მხოლოდ მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით (საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ” მუხლი 41, 2), თუმცა კანონი მიუთითებს რომ სამედიცინო მომსახურების გაწევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია არასრულწლოვანი პაციენტის მონაწილეობაც მისი ასაკისა და გონებრივი განვითარებოს გათვალისწინებით.

საქართველოს კანონში „პაციენტის უფლებების შესახებ“ (მუხლი 41,1) აღნიშნულია, რომ 14-დან 18 წლამდე ასაკის პაციენტმა რომელიც სამედიცინო მომსახურების გამწევის შეხედულებით სწორად აფასებს საკუთარი ჯანმრთლობის მდგომარეობას, შეუძლია განაცხადოს ინფორმირებული თანხმობა თვითონ, როცა მან მიმართა სამედიცინო მომსახურების გამწევს სქესობრივად გადამდები დაავადების ან ნარკომანის მკურნალობის, კონტრაცეპციის არაქირუგიული მეთოდების შესახებ კონსულტაციის მიღების ან ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის მიზნით.

ხოლო, თუ პაციენტის ასაკი აღემატება 16 წელს, მას უფლება აქვს ინფორმირებული თანხმობა ან უარი განაცხადოს (საქართველოს კანონში „პაციენტის უფლებების შესახებ“ მუხლი 41,3) სამედიცინო მომსახურებაზე, თუ იგი სამედიცინო მომსახურების გამწევის შეხედულებით სწორად აფასებს საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობას. აქვე მითითებულია ისიც, რომ პაციენტის გადაწყვეტილების შესახებ ეცნობება მის ნათესავს ან კანონიერ წარმომადგენელს.

არასრულწლოვანი პაციენტის სწავლების ობიექტად გამოყენების

შესახებ საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“ (მუხლი 42) მიუთიქს, რომ 16 წლამდე ასაკი არასრულწლოვანი პაციენტის სწავლების ობიექტად დასაშვებია მხოლოდ მისის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობით. თუმცა აქვე მითითებულია, რომ გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია პაციენტის მონაწილეობაც ასაკისა და გონებრივი განვითარების გათვალისწინებით. ხოლო რაც შეეხება 16 წლის ზევით, არასრულწლოვან პაციენტს შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება მისი სწავლების ობიექტად გამოყენების შესახებ. მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს ეცნობება პაციენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასბორნ ეიდ, კატარინა კრაუზე, ალან როს. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები, სახელმძღვანელო მეორე განახლებული გამოცემა; ობილისი, 2006 წ.გვ.202-226

2. ბავშვის უფლებათა კონვენცია. შემოკლებული ვერსია.

3. ოთარ გერზმავა. საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი, სახელმძღვანელო სტუდენტებისა და ექიმებისატვის, მეოთხე შესწორებული და განახლებული გამოცემა, თბილისის, 2008 წ, გვ.183-195

4. საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“

5. საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“

6. საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“

7. Brenda A. LeFrancois. Children's Participation Rights: Voicing Opinions in Inpatient Care; Child and Adolescent Mental Health Volume 12, No. 2, 2007, pp. 94-97

8. Convention on the Rights of the Child. UNGA Resolution 44/25. Available at: <http://www.unhchr.ch/html/menu3/b/k2crc.htm> or <http://www.unicef.org/crc/index.html>. Accessed March 15, 2007

9. Children's Rights and Child Health.;Pediatric Education in Community and Office Settings (Starter Kit for Community Preceptors) by Jeffrey Goldhagen, MD, MPH, FAAP

10. CRED-PRO Status Report -- Addendum Child Rights Curriculum for Health Professionals, 2008

11. Gerison Lansdown. Implementing Children's rights and health, Arch.Dis.Child. 2000;286-288

12. International Covenant on Economic, Social and Cultural Rights. UNGA Resolution 2200A (XXI) 1976. Available at: [http://www.unhchr.ch/html/menu3/b/a\\_cesr.htm](http://www.unhchr.ch/html/menu3/b/a_cesr.htm). Accessed March 15, 2007

13. Redress-international covenant on civil and political rights. UNGA Resolution 2200A (XXI). Available at: <http://www.redress.org>. Accessed March 15, 2007

14. Rodriguez-Garcia R, Akhter MN. Human rights: the foundation of public health practice. *Am J Public Health*. 2000;90:693-694

15. Toward equity in child health. *Pediatrics*. 2003;112(suppl):701-722

16. T .Waterston, J. Goldhagen. Why children's rights are central to international Child health. *Arch. Dis. Child.* 2007;92:176-180

# ნეონატალური სეფსისი

**თ. ბოთშა, ი. ზავლენიშვილი, ც. გარეულა ე. შავრი**

**დეფინიცია:** ნეონატალური სეფსისი არის სისტემური დაავადების კლინიკური სინდრომი, რომელსაც თან სდევს ბაქტერიომია და მანიფესტირდება დაბადებიდან 1 თვის განმავლობაში.

**სიხშირე:** ნეონატალური სეფსისის სიხშირეა 1-8/ 1000 ცოცხლადშობილზე. ახალშობილებში სხეულის მასით  $<1500$  სეფსისი კლინიდება 12-27/1000 ცოცხლადშობილზე. სიკვდილობა არის მაღალი 13-25%. უფრო მაღალი მაჩვენებელი გავხდება ძალიან დაბადების და გესტაციის დროს.

სეფსისის განვითარების საფუძველია სისტემური ანთებითი პასუხის სინდრომი. დამტკიცებულია, რომ ინფექციის კლინიკური მანიფესტაცია დამოკიდებულია გამომწვევის ვირულენტობაზე და მასზე განვითარებულ სხეულის ანთებით პასუხზე. ტერმინი „სისტემური ანთებითი პასუხის სინდრომი“ (SIRS) იხმარება ინფექციის უნიკალური პროცესისა და ორგანიზმის განვითარებული სისტემური პასუხის აღსაწერად. სეფსისის დინამიურ პროცესში მონაწლეობს აგრეთვე კომპენსატორული ანტიანთებითი პასუხის სიდრომი (HARS).

**არჩევენ ადრეულ და გვიან ნეონატალურ სეფსისს.** გვიან ნეონატალურ სეფსისს მიეკუთვნება დედიდან მიღებული, ნოზოკომური და საზოგადოებაში მიღებული სეფსისი.

**ადრეული ნეონატალური სეფსისი** კლინიდება დაბადებიდან პირველი 5-7 დღის განმავლობაში. არის ჩვეულებრივ მულტისისტემური დაავადება, უპირატესად გამოხატული რესპირაციული სიმპტომებით, ზოგადი ინტოქსიკაცითა და ლოკალური კერების სიმცირით. დაბადებისას მათ აღწიუნებათ არასპეციფიური კარდიო-რესპირატორული სიპტომები, როგორიცაა ხმაურიანი სუნთქვა, ტაქიანოვა, ტაქიკარდია, და ციანოზი. ახალშობილთა დაინფიცირება ძირითადად ხდება მშობიარობის დროს დედის გენიტალური ტრაქტიდან.

პერინატალურ პერიოდში ზოგიერთი ინფექციური აგენტი (მაგ. ტრეპონემები, ვირუსები, ლისტერია, კანდიდა და სხვა) შეიძლება ნაყოფმა მიღდოს ტრანსპლაცენტურად. სხვა თრგანიზმებით დაინფიცირება დაკავშირებულია მშობიარობის პერიოდთან, სანაყოფების მთლიანობის დარღვევებასთან. ვაგინალური ფლორა ან კიდევ სხვა პათოგენური მიკრობები და გამოვალი გზითაც აღვრცელდება. კორიოამნიონიტი იწვევს ნაყოფის კოლონიზაციას და ინფექციას. ნაყოფის ან ახალშობილის მიერ დაინფიცირებული ამნიონური სითხის ასპირაციამ შეიძლება გამოიწვიოს რესპირატორული სიმპტომების გამოვლინება. მეკონიუმისა და საცხის (ვერნის) მოხვედრა ამნიონური სითხეში იწვევს მისი ბაქტერიოსტატული ფუნქციის შეცვლას. საბოლოოდ ახალშობილის დაინფიცირება შეიძლება მოხდეს სამშობიარო გზებში გამოსვლისას. მიკრობების კოლონიზაცია პირველად ხდება კანზე, ოროვარინგეალურად, ხაზოფარინგეალურად, კონიუქტივაზე და ჭიპლარზე. ასევე ლორწოვანის ტრავმაში შეიძლება გამოიწვიოს ინფექციური პროცესის განვითარება.

ადრეული ნეონატალური სეფსისი ხასიათდება მწვავე დასაწყისო, ელვისებური ფორმა შეიძლება პროგრესირდეს სეპტიური ჰოკით და სიკვდილობის განვითარების მაღალი რისკით.

**ადრეული სეფსისის დამახასიათებელია:** ერთნაირი სიხშირითად როგორც ვაჟებსა, ისე გოგონებში უშიორესად განვითარება დღენაპლულებში ხასიათდება მაღალი სიკვდილობით (10-30%) უპირატესად გამოწვეულია დედის საშოს ფლორით. 80%-ში გამოწვეულია B ჯგუფის სტრეპტოკოკებითა და გრამ (-) მიკრობებით.

ხშირად მანიფესტირდება რდს და ან სეპტიცემით. (ძნელია დღენაპლულებში სეპტიცემისა და რდს-ის დიფერენცირება, ამიტომაც უმეტესი დღენაპლულები რდს-ით იღებენ ფართე სპექტრის ანტიბიოტიკებს)

მენინგიტი განვითარება 30 %-ში

შეიძლება განვითარდეს ჰოკი, დვს, მწვავე ტუბულარული ნეკროზი, სიმეტრიული პერიფერიული გაგრენა და სხვა

ნეიტროპენია, ჰიპოტენური ხშირია რეაციულაქტერულია მკურნალობის, ფართე სპექტრის ანტიბიოტიკების, მექანიკური ვენტილაციის და ვაზოპრესორების მიმართ

**გვიანი ნეონატალური სეფსისი** შეიძლება გამოვლინდეს დაბადებიდან მე-5 დღეს, თუმცა უფრო ხშირია დაბადებიდან პირველი კვირის შემდეგ. ახალშობილებს ჩვეულებრივ აქვთ იდენტიფიცირებული სეპტიური კერა და უფრო ხშირად ვლინდება მენინგიტით სეფსისთან ერთად. გვიანი ნეონატალური სეფსისის გამომწვ

ვევით ახალშობილი ინფიცირებულია დედის გენიტალური ტრაქტიდან, დაინფიცირება აგრეთვე შესაძლოა მოხდეს კონტამინირებული ხელსაწყოებთან კონტაქტის შედეგად.

#### გვიანი სეჭსისისთვის დამახასიათებელია:

სიხშირე მეტია ვაჟებში,

1000 გრამზე ნაკლები მასის მქონე ახალშობილები წარმოადგენს რისკის ჯგუფს,

უპირატესად გამოწვეულია კოაგულაზა-ნებატიური სტაფილოკოკებით და გრამ-უარყოფითი მიკრობებით.

კანდიდა განსაკუთრებით ხშირად გვხვდება დაბალი მასის ახალშობილებში

ინფექციის ფოკალური კერებიდან გვხვდება მენინგიტი(75%), ოსტეომიელიტი, ართრიტი, საშარდე სისტემის ინფექცია და სხვა

**ნოზოკომური სეჭსისი.** სეჭსისის ეს ფორმა ვლინდება მაღალი რისკის, განსაკუთრებით მცირე მასის და ძალიან მცირე მასის ახალშობილებში,, მისი პათოგენეზი დაკავშირებულია ახალშობილის ძირითად დაავადებასთან, ნეონატალური ინტენსიური თერაპიისა და რეანიმაციის განყოფილების მულტი-რეზისტებულ ფლორასთან, ინვაზიურ მონიტორინგთან და სხვა ტექნიკურ საშუალებებთან. კანისა და ინტესტინალური ბუნებრივი ბარიერების დარღვევა საშუალებას აძლევს ოპორტუნისტულ ორგანიზმებს, რომ დააინფიციროს განსაკუთრებით დღენაკლული ახალშობილები, რომლებსაც გაზრდილი აქვთ მიღრეკილება ინფექციების მიმართ, ძირითადი დაავადებისა და უმწიფარი იმუნური სისტემის გამო.

#### ნოზოკომური სეჭსისისთვის

##### დამახასიათებელია:

აპონე და ბრადიკარდია

ტემპერატურის არასტაბილიობა

მუცლის შებერვა

კვების აუტანლობა

შოკი

დვე

სუნთქვის უკმარისობა

ლოკალური კერები, როგორიცაა ომფალიტი, კონიუნქტივიტი, დიარეა პნევმონია ბულოზური იმპეტიგო და სხვა

მიუხედავად ანტიბიოტიკებით მკურნალობისა, კერსისტირებადი სიმპტომების შემთხვევაში უნდა გამოირიცხოს ვირუსული ან კანდიდოდოზური ინფექცია.

**შენიშვნა:** ზოგი ავტორი ადრეულ სეჭსისად მიიჩნევს პირველი 48 საათის განმავლობაში გამოვლინებულ სეჭსისს, ხოლო გვიანში კი

გულისხმობს 48 საათის შემდეგ გამოვლენილ სეჭსისს. აღნიშნული აიხსნება იმით, რომ ადრეული სეჭსისის 85% ვლინდება პირველ 24 საათში, 5% 24-48 საათში, ხოლო ძალიან დაბალი პროცენტი კი 48 საათიდან 6 დღემდე.

**გამომწვევი ორგანიზმები:** ნეონატალური სეჭსისის გამომწვევი პრინციპულად იცვლება დროში. ადრეული სეჭსისი ჩვეულებრივ დაკავშირებულია დედის ვაგინალურ ფლორასთან. ხშირი გამომწვევი არის B ჯგუფის პემლიზური სტრეპტოკოკი, შემდეგ გრამ(-) ენტერული მიკროორგანიზმები, განსაკუთრებით E-coli., ასევე სხვა პათოგენური მიკროორგანიზმები Listeria monocytogenes, Staphylococcus aureus et epididymidis, Streptococcus, Anaerobes, Hemophilus influenza. სხვა იშვიათი გამომწვევი მიკროორგანიზმები გვხვდება უპირატესად დღენაკლულ ახალშობილებში.

ნოზოკომური სეჭსისის გამომწვევი შეიძლება იყოს სტაფილოკოკი ,განსაკუთრებით Staphylococcus epididymidis, გრამ(-) მიკრობები: Pseudomonas, Klebsiella, Serratia, Proteus და აგრეთვე Candida-s ჯგუფის მიკროორგანიზმები.

#### რისპის ზარტორები:

##### ადრეული სეჭსისი:

განაგრძლივებული უწყლო პერიოდი (18 საათზე მეტ სან).

ჭუჭყიანი სანაცვლებელი  
ნაყოფის დისტრიბუტორი.

დედის პირველი ( $>38^{\circ}\text{C}$ ) ან ლეიკოციტოზი,  
დედის ინფექციის უტყუარი ნიშნები  
(მაგ:შარდსასქესოსისტემის, გასტროენტერიტი/დიარეადა სხვა), ქორიოამნიონიტი

მრავალჯერადი სამეცნი პროცედურები  
ნაადრევი მშობიარობა.

მრავალნაყოფიანი მშობიარობა,

მრავალჯერადი აბორტები (ოვითნებური, ხელოვნური)

წინა ბავშვი ინფექციით,  
ბაქტერიურია ამ ორსულობის დროს.

**გვიანი სეჭსისის შემთხვევაში დამატებით**  
განაგრძლივებული პოსპიტალიზაცია, მაგ:

დღენაკლულისა რეანიმაციულ განყოფილებაში.

ინვაზიური პროცედურები და უცხო სხეულების არსებობა: (ინტრავენური კათეტერები, ენდოტრაქეულ მილი და სხვ. მაღლფორმაციები, მაგ.: საშარდე სისტემის ანომალიები, ნერვული მილის დეფექტები)

ჯგარედინი ინფექცია მშობლებიდან და მედ პერსონალიდან

**ნეონატალური სეჭსისი მძიმდება ძალიან სწრაფად, ამიტომ:**

1. მნიშვნელოვანია დაავადების აღრეული დიაგნოსტიკა—ინფექციაზე საეჭვო კლინიკა საჭიროებს სრულ ლაბორატორიულ გამოკვლევებს.

2. ინფექციაზე საეჭვო კლინიკის დროს საჭიროა მკურნალობის დაუყოვნებლივ დაწყება.

### ანამნეზი

1. არის ახალშობილი რისკის ჯგუფში? (მაგ. დღენაკლულობა, ჩატარებული ინგვაზიური პროცედურები — კათეტერიზაცია, ენდორაქეული ინტებაცია).

2. პერინატალური ანამნეზი (სანაყოფე გარსის გახანგრძლივებული დარღვევა, დედის ცხელება, HVS დადებითი და სხვა)

3. ნოზოკომური ინფექციის განვითარების რისკი მედპერსონალისაგან, ახლობლებისა და სხვა ავადმყოფი ბაგშვისგან.

### დაავადების აღრეული ნიშნები და სიმპტომები

**კლინიკური სიმპტომები:** ხშირად არასპეციფურია და მსგავსი სხვადასხვა კლინიკური სტატუსების (სუნთქვის ან გულის უგმარისობის, მეტაბოლური დარღვევების და სხვა)

### ზოგადი სიმპტომები:

მცირე მასა დაბადებისას  
სიფერმკრთალე  
ლეთარგია  
სიყვითლე  
ტემპერატურის ცვალებადობა: ჰიპო ან ჰიპერთერმია.  $<36$  (ჩ ან  $> 37,5$  (ჩ

**შენიშვნა:** 1/3 დადასტურებული სეფსისის დროს აღინიშნება ნორმალური ტემპერატურა

ჰიპოგლიკემია/ჰიპერგლიკემია  
სისხლის აიროვანი შემადგენლობის ცვლებები ( PH ის განსაზღვრით)

### რესპირატორული სისტემა

მზარდი ტაქიპნე

აპნოე

ხმაურიანი სუნთქვა

ციანოზი

### გულ-სისხლძარღვთა სისტემა:

ტაქიკარდია

ბრადიკარდია

დაბალი პერფუზია

ჰიპოტენზია

### განი:

პეტექიები

სილურჯეები

სისხლდენა

### საჭმლის მომნელებელი სისტემა

საკვების ცუდად მიღება

დებინება და ამოქაფება  
მუცლის შებერვა  
კვების აუტანლობა  
ნაღველი კუჭის ასპირატში (ამონადებ მასაში)  
**ცნა:**

ლეთარგია  
აღგზნება  
კრუნჩევა  
ჰიპორეფლექსია

ყოველი ახალშობილი, რომელიც არ გამოიყება გარგად და/ან აღენიშნება სეფსისის არა ნაკლებ 2 რისკ-ფაქტორი, საეჭვოა სეფსისზე და უნდა დაენიშნოს შესაბამისი ანტიბიოტიკები კულტურების აღების შემდეგ. კულტურის აღების შეუძლებლობამ არ უნდა შეაყოვნოს ანტობიოტიკოთერაპიის დაწყება.

### ბამოკვლევები

#### ძირითადი:

1. სისხლის საერთო ანალიზი: Hb, ლეიკოციტების საერთო რაოდენობა, ლეიკოციტური ფორმულა, თრომბოციტები.

დაბადებისას ლეიკოციტები  $30 \times 10^9/\text{ლ}$  – მდე არის ნორმა.

#### ინფექციის მაჩვენებლები:

პირველი დღე – ნეიტროპენია, უმწიფარი უჯრედები და ტოქსიური მარცვლოვნება.

სამი დღის შემდეგ – პოლიმორფული  $> 7,5 - 8,0 \times 10^9/\text{ლ}$  ან  $< 2 \times 10^9/\text{ლ}$

მონოციტები  $> 0,8 \times 10^9/\text{ლ}$

ინფექციის დროს შესაძლოა იყოს თრომბოციტოპენია ან თრომბოციტოზი. ნეიტროფილების უმწიფარი ფორმების შეფარდება ნეიტროფილების საერთო რიცხვთან  $> 0,2$  (განსაკუთრებით მგრძნობიარება ადრეული სეფსისის დროს).

2. სისხლის ბაქტერიოლოგია და მგრძნობელობა

3. C რეაქტიული ცილა (ჩდP) : ინფექციაზე საეჭვო კლინიკისა და მომატებული CRP-ს არ-სებობისას საჭიროა ანტიბიოტიკოთერაპიის დაწყება სისხლის ბაქტერიოლოგიისა და მგრძნობელობის შედეგების მიღებამდე. ის ასევე გვეხმარება განვსაზღვროთ ანტიბიოტიკოთერაპიის ხანგრძლივობა.

#### აუცილებლობის შემთხვევაში:

1. ლუმბალური პუნქცია (ცერებროსპინალური სითხის ბიოპსია, მიკროსკოპია, ლატექსაგ-

ლუტინაცია ბაქტერიული ანტიგენისათვის, ბაქტერიოლოგია და მგრძნობელობა)

2. გულმკერდის რენტგენოგრაფია
3. მუცლის რენტგენოგრაფია
4. დედის HVS ბაქტერიოლოგია და მგრძნობელობა.
5. ენდოტრაქეული მილის ასპირატის ბაქტერიოლოგია.
6. ინტრავენური კანულის /ჭიპის კათეტერის ბოლოს ბაქტერიოლოგია.
7. შარდის ანალიზი, ბაქტერიოლოგია და მგრძნობელობა
8. სისხლის აიროვანი შემადგენლობა და PH

### მპურნალობა

#### ანტიბიოტიკები

- ინფექციაზე საეჭვო დიაგნოზის დროს ბაქტერიოლოგიისა და მგრძნობელობის შედეგების მიღებამდე დაუყოვნებელი მკურნალობის დაწყება.

#### რეპროდიუნგულია ემაირიული თერაპია:

ქვემოთ მოცემული რეჟიმები გამოიყენება საწყისი თერაპიისათვის. ანტიბიოტიკის არჩევანი შემდეგ უნდა დაეფუძნოს კულტურის შედეგსა და კლინიკურ მიმღინარეობას.

#### ადრეული სეფსისი:

**Benzylpenicillini-** 60 მგ/კგ ინტრავენურად ყოველ 12 საათში ერთხელ.

120 მგ/კგ ინტრავენურად ყოველ 12 საათში ერთხელ მენინგიტის დროს

**Gentamicini-2,5 mg/kg** ინტრავენურად ყოველ 18 საათში ერთხელ, თუ (32 კვირაზე, 24 საათში ერთხელ, თუ 28-32 კვირამდეა, 36 საათში ერთხელ, თუ < 28 კვირაზე).

ალტერნატიული პროტოკოლი ამპიცილინი იხ. დოზა

ცეფოტაქსიმი იხ. დოზა

ამპიცილინი იხ. დოზა

ცეფტრიაქსონი იხ. დოზა

ლისტერიაზე ეჭვის შემთხვევაში, **Amoxicillini** 50mg/kg ინტრავენურად ყოველ 12 საათში ერთხელ Benzylpenicillini-ს მაგივრად.

მენინგიტის სამკურნალოდ (სანამ მგრძნობელობა გახდება ცნობილი):

**Cefotaximi-** 50mg/kg ინტრავენურად ყოველ 12 საათში ერთხელ დაენაკლული და დროული ახალშობილებისთვის სიცოცხლის პირველი კვირის განმავლობაში, ერთი კვირის შემდეგ კი 8 საათში ერთხელ.

**Amoxicillini-50mg/kg** ინტრავენურად ყოველ 12 საათში ერთხელ დაენაკლული და დროული ახალშობილებისთვის სიცოცხლის პირველი კვირის განმავლობაში, ერთი კვირის შემდეგ კი 8 საათში ერთხელ.

#### გვანი სეფსისი:

**Vancomycini** და **Gentamicini** გამოიყენება ჩვეულებრივ ახალშობილთა რეანიმაციაში მყოფი ახალშობილთათვის, სხვა ახალშობილთათვის პირველი არჩევის ანტიბიოტიკები შეიძლება იყოს **Flucloxacillin** და **Gentamicin**.

**Vancomycin-15mg/kg** ინტრავენურად ყოველ 18 საათში ერთხელ დროულ ახალშობილთათვის.

**Gentamicin-2,5mg/kg** ინტრავენურად ყოველ 18 საათში ერთხელ დროულ ახალშობილთათვის.

**Flucloxacillin-25mg/kg** ინტრავენურად ყოველ 12 საათში ერთხელ დაენაკლული და დროული ახალშობილებისთვის სიცოცხლის პირველი კვირის განმავლობაში, ერთი კვირის შემდეგ კი 6-8 საათში ერთხელ.

სხვა ამინოგლიკოზიდის გამოიყენება დამოკიდებულია პოსაიტალში პრევალენტური ორგანიზმების პროფილზე.

ამინოგლიკოზიდით მკურნალობა 3 დღეზე მეტ ხანს აუცილებლად საჭიროებს სისხლის შრატში მისი პიქური და ჭეშმარიტი კონცენტრაციის განსაზღვრას ოტოტოქსიურობისა და ნეფროტოქსიურობის თავიდან ასაცილებლად

#### როდის შევწყვიტოთ ანტიბიოტიკები:

ანტიბიოტიკოთერაპიის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ახალშობილის კლინიკურ მდგრმარეობაზე და კულტურიდან იდენტიფიცირებულ მიკროორგანიზმებე.

თუ ინფექციის კლინიკური ნიშნები მინიმალურია, ახალშობილის ზოგადი მდგრმარეობა დამაკმაყოფილებელი, კულტურა უარყოფითი, ანტობიტიკოთერაპია უნდა შევწყვიტოთ 48 საათში.

**სეფსისზე უტყური ეჭვის შემთხვევაში,** ნებატიური კულტურა მიღებისას დამატებით ანტიბიოტიკოთერაპია უველაზე ცოტა უნდა გაგრძელდეს 5 დღის განმავლობაში, სანამ ინფექციისათვის დამახასიათებელი პარამეტრები არ ნორმალიზდება, მეორე მიღვომა ასეთია: ანტიბიოტიკოთერაპია ტესტების ნორმალიზებიდან კიდევ 48 საათი.

**დამტკიცებული გრამ-უარყოფითი ბაქტერიემია, სუფთა ლიქვიდორით:** მკურნალობის ხანგრძლივობა 10-14 დღემდე, ანტიბიოტიკების შერჩევა

ვა დამოკიდებულია კულტურასა და მგრძნობელობაზე.

**დამტკიცებული GBS ბაქტერიემია, სუფთალიქვორით – 10 დღის განმავლობაში.**

**მენიგიტი:** GBS-14 დღე სხვა გრამუარყოფითი მიკრობების შემთხვევაში 21 დღე.

**საშარდე სისტემის ინფექცია:** ანტიბიოტიკები ინტრავენურად ყველაზე ცოტა 5 დღის განმავლობაში ან სრული 10 დღის განმავლობაში. მკურნალობის ნახევრის ჩატარების შემდეგ კარგი მდგომარეობის შემთხვევაში შესაძლებელია ორალურ ანტიბიოტიკზე გადასვლა.

#### **სპეციალური მდგომარეობები:**

მშობიარობის დროს ანტიბიოტიკები შეიძლება იქნას გამოყენებული შემდეგი მდგომარეობების შემთხვევაში.

1. დედა GBS-ით
2. არაკოლონიზირებული დედა რისკის ფაქტორებით

თუ სკრინინგი GBS-ზე არ ჩატარებულა, ანტიბიოტიკოთერაპია ტარდება რისკის ფაქტორების არსებობისას.

ნაადრევი მშობიარობა (<37 კვირაზე)

სანაყოფების დარღვევა >18 საათზე.

დედის ცხელება >38°C

წინა ბავშვი GBS-ით

GBS ბაქტერიურია ორსულობის დროს

თუ ახალშობილი არის სიმპტომებით ან სახეზე დღენაკლულობა <35 კვირაზე, ის აუცილებლად უნდა შეფასდეს სეფსისზე და ჩატარდეს ინტრავენური ანტიბიოტიკოთერაპია, მიუხედავად დედის მშობიარობის დროს პროფილაქტიკისა, სანამ ინფექცია არ იქნება გამორიცხული.

კანდიდოზური სეფსისი უხშირესად გახვდება ძალიან დაბალი მასის ახალშობილებში, რომლებიც ახალშობილთა რეანიმაციის განყოფილებაში იმყოფებიან.

#### **ნოზოკომური ინფექცია:**

საჭიროა ანტიბიოტიკის შერჩევა საავადმყოფოში გავრცელებული ინფექციისა და მისი მგრძნობელობის განსაზღვრით.

გამოიყენება კარბაპენემისა და ვანკომიცინის კომბინაცია

– დაემატოს მეტრონიდაზოლი ინტრააბდომინალური სეფსისისა ან NEC არსებობის დროს.

– მხედველობაშია მისაღები სოკოვანი სეპტიცემია, თუ ბავშვი (განსაკუთრებით დღენაკლული) არ ექვემდებარება მკურნალობას.

საბოლოო ანტიბიოტიკის შერჩევა ბაქტერიოლოგიური და მგრძნობელობის შედეგების საფუძველზე:

#### **დამხმარე დონისძიებები:**

მონიტორინგი: ტემპერატურა, სითხის ბალანსი, წონა, სისხლის აიროვანი ცელა და PH

ტემპერატურის კონტროლი

– კიუვეზის ტემპერატურული კონტროლი - აღრიცხვა

– გარემო ტემპერატურის შენარჩუნება თერმონეიტრალური ზღვრის ფარგლებში შოვის მკურნალობა

– მაქსიმალური არტერიული წნევის ( MAP ) შენარჩუნება გესტაციის შესაბამისად + 5 mm Hg

– შესაძლოა დასჭირდეს ალბუმინის ტრანსფუზია ან FFP (25%-იანი ალბუმინი 4მგ/კგ + 20მგ/კგ NaCl)

– საჭიროების დროს ინორტოპული საშუალებები ( დოფამინი/დობუტამინი ან ნორადრენალინი)

თუ განვითარდა დვა

– კოაგულოგრამა და თრომბოკიტების რიცხვის შემოწმება

– საჭიროებისას მკურნალობა FFP/კრიოპრეციპიტატით/თრომბომასის ან სისხლის ტრანსფუზია.

#### **პრევენცია**

მეტად მნიშვნელოვანია ჯვარედინი ინფექციის პროფილაქტიკა. ყველაზე ეფექტური პრევენციის მეთოდია ხელის ხშირი დაბანა, ასებიტიკისა და ანტისეპტიკის დაცვა.

#### **ლიტერატურა:**

1.American Academy of Pediatrics: Red Book 2003. 26th ed. 2003; 117-123, 237-43, 561-73,584-91.

2.Byington CL, Enriquez FR, Hoff C: Serious bacterial infections in febrile infants 1 to 90 days old with and without viral infections. Pediatrics 2004 Jun; 113(6): 1662-6

3.CDC: Prevention of perinatal group B streptococcal disease: revised guidelines from CDC. MMWR 2002; 51: (No. RR-11).

4.T. L. Gomella, NEONATOLOGY Management, Procedures, On-Call Problems, Diseases, and Drugs,2004

5.Neonatal-Perinatal Medicine (Diseases of Fetus and Infant)/Eed.A.A.Fanaroff, R.Martin-Mosby, 2002

## წლის ასაკის ბავშვების პრონეიტის დიაბაზოსტიკა და მართვა

ნინო კანდელაძი, მ.მ.კ. მაია ჩხაიძე,  
მ.მ.კ. მარინა ქარუმაშვილი

**თსუ ეგვანის სახელობის პედიატრიული საუნივერსიტეტო კლინიკა  
იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური  
კლინიკა  
საქართველოს პედიატრიული აკადემია**

რესპირატორული სისტემის დაავადებები პირველადი ჯანდაცვის რგოლში მომართვიანობის ძირითად მიზეზს წარმოადგენენ. ბრონქიოლიტების სიხშირე პრაქტიკული მედიცინის სერიოზულ პრობლემად რჩება. გასათვალისწინებელია საკითხის სოციალური მნიშვნელობაც- მწვავე რესპირატორული პათოლოგიით ავადობა ქვეყნისთვის სერიოზული ეკონომიკური ტენირით, რომლის შემადგენელი ნაწილია, როგორც მკურნალობაზე უშუალოდ დახარჯული თანხა, ისე დროებით შრომისუნარიანობით გამოწვეული დანაკარგები.

მსოფლიოში გრიპის საწინააღმდეგოდ მიმართული ფართო მასშტაბიანი ღონისძიებების მიუხედავად ბიოლოგიური თვისებებით და სავარაუდო გართულებებით ბრონქიოლიტები დღემდე წლამდე ასაკის ბავშვების ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ და მძიმე დაავადებად ითვლება, რაც არცოუ იშვიათად ლეტალური გამოსავლით მთავრდება. გრიპს და სხვა მწვავე რესპირაციული ინფექციებს ავადობის სიხშირის მიხედვით მსოფლიოში პირველი ადგილი უკავიათ. ყოველწლიურად წვავე რესპირაციული ინფექციებით დედამიწაზე 500 მლნ ადამიანი ხდება ავად, მათ შორის 2 მილიონი შემთხვევა სიკვდილით მთავრდება.

რესპირატორული ინფექციებით გამოწვეული წლამდე ასაკის ბავშვთა ავადობა დაალოებთ 5-ჯერ მეტია, ვიდრე ერთად აღებული ყველა სხვა ინფექციური დაავადებით. გრიპი. რუსეთში ყოველწლიურად რეგისტრირდება გრიპის და სხვა მწვავე რესპირაციული ინფექციების 27-41 მლნ. შემთხვევა.

შემნილი სიტუაციის ანალიზმა შესაძლებელი გახადა აღნიშნული მდგრმარეობის ძირითადი მიზეზების გამოვლენა, სახელდობრ;

სიდარიბის ზრდა არ შეოლოდ განვითარებად ქვეყნებში, არამედ ინდუსტრიული ქვეყნების მოსახლეობის სოციალურად და ეკონომიკურად უკიდურესად დაუგველ ფენებში.

დემოგრაფიული ძვრები: განვლილ ათწლეულში აიგო 86%, კლიმატური და მდგრმარეობის განვლილი ასაკის მედიცინური უზრუნველყოფის დაზღვეული დაუგველ ფენებში.

ულში აღინიშნა შობადობის მატება, რამაც განაპირობა ბავშვთა რაოდენობის ზრდა.

წინამდებარე მოხსენება წარმოაჩენს ბრონქიოლიტის მკურნალობის ძირითად პრინციპებს. რა თქმა უნდა იგი ვერ იქნება საქმარისი დაავადების სრულყოფილი მართვისთვის. მოცემულ ვერსიაში განხილულია მკურნალობის ძირითადი ეტაპები, მათი მართვა მოცემულია ძალიან ზოგადად. შესაბამისად მზადდება სრული ტექსტი, რომელშიც უფრო ფართო იქნება განხილული დეტალები. წარმოდგენილი მოკლე ვერსია საშუალებას გვაძლევს სწრაფად გადავხვდოთ მკურნალობის ძირითად პრინციპებს და იგი დაეხმარება როგორც პულმონლოგებს და ინფექციონისტებს, ასევე ზოგადი პრაქტიკის ქმებს/ოჯახის ექიმებს.

სამუშაო ჯგუფი აცნობიერებს მოთხოვნილებას მოხდეს ჩვენი ჯან-დაცვის სისტემის პარმონიზაცია ეგროპასა და ამერიკის სამედიცინო სისტემების მაღალ სამედიცინო სტანდარტებთან და მიიჩნევს, რომ ამ პროცესში გაიდლა ინენერგეტიკების უფრო ზუსტად კი მათ დანერგვას აქვს უდიდესი მნიშვნელობა.

ვინაიდან მუდმივი განახლება ალგორითმებით მუშაობის თანმხლები და განუყოფელი პროცესია. ჩვენი ჯგუფია დიად მსჯელობისათვის ისეთ თემებზე თუ რამდენად ზუსტად შეესაბამება ჩვენს მიერ ადაპტირებული რეკომენდაციები ევროპის და ა.შ.შ-ს შესაბამის რეკომენდაციებს და ხომ არ ეწინააღმდეგებიან ისინი მათ ძირითად სულისკვეთებას. სიფრთხილეს მოითხოვს აგრეთვე რიგი ენობრივი საკითხები.

მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის მონაცემების მიხედვით არსებებობს დიგნოსტიკის და მკურნალობის სხვადასხვა გარიანტები. სტატიაში გთავაზობთ ბრონქიოლიტის მართვისა და მკურნალობის ალგორითმს რომელიც მოწოდებულია აშშ ქ. ცინცინატის ბავშვთა კლინიკის სამედიცინო ცენტრის მიერ. მოცემული რეკომენდაციები ითვალისწინებს მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის მონაცემებს.

აღნიშნული კლინიკური პრაქტიკის გაიდლანი არ წარმოადგენს ბრონქიოლიტით დაავადებული ბავშვების მკურნალობის ერთადერთ წყაროს. სავარაუდოდ, აღნიშნული გაიდლანი დაეხმარება კლინიკისტებს შესაბამისი და

სწორი გადაწყვეტილების მიღებაში. გაიდლაინი არ არის განკუთვნილი კლინიკური გადაწყვეტილებების შესაცვლელად ან აღნიშნულ მდგრადმარქირაში მყოფი ყველა ბაგშვის მკურნალობის პროტოკოლის განსაზღვრისათვის.

**შესავალი.** ჩვენთვის ამ ეტაპზე მთავარი მიზანია სტუდენტ მედიკოსებსა და პრაქტიკოს ექიმებს მივაწოდოს ის აუცილებელი ინფორმაცია ბრონქიოლიტების დიაგნოსტიკის და მართვის თანამედროვე ასკეპტების შესახებ, რომელიც პაციენტების დახმარების სწორი თრგანიზებისათვისაა საჭირო. მოცემული გაიდლაინის მიზანია 1 თვიდან 2 წლამდე ასაკის ბრონქიოლიტით დაავადებული ბაგშვების დიაგნოსტიკისა და მენეჯმენტის პროცესში უზრუნველყოს მონაცემებზე-დაფუძნებული მკურნალობის მეთოდების გამოყენება. გაიდლაინი განკუთვნილია პედიატრების, ოჯახის ექიმების, გადაუდებელი მედიცინის მუშაკთა, საავადმყოფოს ექიმთა, პრაქტიკოსი ექიმების და ასისტენტებისათვის, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართული აღნიშნული ბაგშვების მკურნაკლობის პროცესში. მოცემული ინფორმაცია შეიძლება გამოვიყენოთ: სტუდენტების და სუპერვიზორთა ჯგუფების სწავლებისათვის; პრეზენტაციებსა და დისკუსიებში, პრაქტიკოსი ექიმების გადამზადებასა და თვით-განათლებისთვის.

ჩვენის მხრივ მზად ვართ ფართო დისკუსიებისათვის აღნიშნულ თემებზე და მზადა ვართ გავითვალისწინოთ როგორც ქის საეციალისტების ასევე საზოგადოების და სხვადასხვა დარგის ექსპერტების აზრი.

**დეფინიცია.** ბრონქიოლიტი არის ვირუსული იფაქციოთ გამოწვეული ქვედა რესპირატორული ტრაქტის დაავადება, რომელიც ხშირად გვხვდება ბაგშვებში, რომელიც გრძელდება 2-3 კვირამდე და რომლის აუცილებელ სიმპტომს წარმოადგენს ხველა ნახველის გამოყოფით ან მის გარეშე. ბრონქიოლიტი ხასიათდება მწვავე ანთებითი პროცესით, კდემით, კპიოულიური უზრედების ნეკროზით, რომლითაც ამოვენილია მცირე სასუნთქი გზები, ლორწოვანის გაზრდილი სეკრეციით და ბრონქო სპაზმით.

**ეტიოლოგია** წლამდე ასაკის ბაგშვებში ბრონქიოლიტები უხშირესად დაკავშირებულია რესპირატორულ ვირუსებთან, როგორიცაა გაციების გამომწვევი ვირუსები (რინოვირუსი, კორონავირუსი) გრიპის ვირუსი, ადენოვირუსი, რესპირატორულ-სინციტიალური ვირუსი, რაც ასევე ცნობილა, როგორც ადამიანის პნეუმოკირუსი, პარაგრიპის ვირუსი, მარტივი ჰერპესის ვირუსი. შედარებით უმნიშვნელო ნაწილია განპირობებული სხვა მიზეზებით. (ბაქტერიები,

ატიპიური გამომწვევები). ბრონქიოლიტის გამომწვევთა ასაკობრივი თავისებურება ბავშვებში ასეთია:

რესპირატორულ-სინციტიალური ვირუსი.  
(ზამთარი-გაზაფხული)

პარაგრიპის ვირუსი (შემოდგომა)  
კორონავირუსი (ზამთარი-გაზაფხული)

ბრონქიოლიტისთვის დამახასიათებელია მწვავე ინფლამაცია, შეშუპება, და მცირე საუნთქი გზების ამომფენი ეპითელიალური უჯრედების ნეკროზი, ლურწოვანი სეკრეტის ჰიპერპროდუქცია და ბრონქიოსპაზმი.

**პათოგენეზი** მწვავე ბრონქიოლიტის დროს ვითარდება ბრონქიოლების ლორწოვანის შეშუპება და ლორწოს ჰიპერსეპრეცია. ხველა შეიძლება ერთის მხრივ გამოწვეული იყოს ბრონქის ლორწოვანის დესტრუქციით და მეორეს მხრივ ანთების მედიატორების გამომუშავებით და მუკოცილიარული აპარატის დაზიანებით. თუმცა ხველის განვითარების მქანიზმი ბოლომდე ნატელი არ არის და შესწავლას საჭიროებს. ბრონქიოლიტის დროს ანთებითი ცვლილებანი გარდამავალია.

#### **ბრონქიოლიტის რისკ-ფაქტორებია:**

გადაციება  
ცხვირ-ხახის ქრონიკული ინფექციები  
ცხვირით სუნთქვის გაძნელება  
იმუნოდეფიციტური მდგრადიობანი.

#### **კლინიკური ნიშნები**

ჰიპერტენზია, რინიტი, ტაქიპნეა, ვიზინგი, ხველა, სველი ხიხინი, სუნთქვის აქტში დამხმარეკუნთების მონაწილეობა. დაავადებას ახასიატებს სეზონურიბა, დეკამბრიდან მარტის თვის ჩათვლით. ბრონქიოლიტის შემთხვევათა 90% ორწლამდე ასაკში გვხვდება.. ბრონქიოლიტის გადატანა არ ტრვებს მყარ იმუნიტეტს, რის გამოც რეინფექცია შესაძლებელია.

#### **რეპოზნდაცია 1a**

ავადმყოფობის ისტორიისა და ფიზიკალური კვლევების საფუძველზე კლინიცისტებმა უნდა მოახდინონ ბრონქიოლიტის დიაგნოსტიკა და დაავადების სირთულის შეფასება. დიაგნოსტიკისათვის კლინიცისტებმა არ უნდა მიმართონ რუტინულ ლაბორატორიულ და რადიოლოგიურ კვლევებს.

#### **რეპოზნდაცია 1b**

ბრონქიოლიტის ქვენე ბაგშვების შეფასებისა და მკურნალობისას გადაწყვეტილების მიღების პროცესში კლინიცისტები ვალდებული არიან დაავადების მძიმე ფორმის შემთხვევაში

შეაფასონ შემდეგი რისკ ფაქტორები: ასაკი <12 კვირა, ისტორია დღენაკლულობის თვალსაზრისით, ფონური კარდიოკულმონარეული დაავადება ან იმუნოდეფიციტის სინდრომი (რეკომენდაცია: მონაცემთა დონე B; მონიტორინგული კვლევა თანმიმდევრული მონაცემებით; დადებითის უპირატესობა უარყოფითზე).

კლინიკისტების უმეტესობა ბრონქიოლიტის განიხილავს როგორც კლინიკური სიმპტომების და ნიშნების ერთობლიობას ვირუსული ზედარესპირატორული პროდრომის ჩათვლით, რასაც <2 წლის ასაკის ბავშვებში თან ახლავს გაზრდილი რესპირატორული დატვირთვა და მძიმე სუნთქვა.

ბრონქიოლიტის კლინიკური ნიშნები და სიმპტომები მოიცავს: რინორეას, ხველას, ხინის, ტაქიპნეის და გაზრდილ რესპირატორულ დატვირთვას, რომელიც გამოხატულია ცხვირის აფერების პიკერების, ნექნიაშორისი და/ან ნებნევება რეტრაქციების სახით.


ბრონქიოლიტის მიმდინარეობა ვარიაბელური და დინამიურია, რაც მოიცავს გარდამავალ პროცესებს, როგორიცაა მაგალითობად ანონე ან ლორწოვანი სეკრეცა, პროგრესირებულ რესპირატორულ დარღვევამდე ქვედა სასუნთქი გზების ობსტრუქციიდან გამომდინარე.

მნიშვნელოვანია რომ შეფასებული უნდა იქნას: რესპირატორული სიმპტომების გავლენა კვებისა და პიდრატაციის პროცესებზე და ასევე თერაპიულ მკურნალობაზე საპასუხო რეაქციები (თუ ასეთი არ სებობს). უნდა შეფასდეს ასევე ოჯახის შესაძლებლობები ბავშვის მოვლასთან (ხანგრძლივ-პერიოდიანი ზრუნვა) დაკავშირებით. უნდა მოხდეს ფონური მდგომარეობების ისტორიის, როგორიცაა მაგალითობად დღენაკლი ჩვილები, კარდიოლოგიური და პულმონარეული დაავადება, იმუნოდეფიციტი, ან ხინის აღრეული ეპიზოდების იდენტიფიცირება. ფიზიკური გამოკვლევა გვიჩვენებს დაავადების მდგომარეობის ვარიაბელობას და ბავშვის სრულყოფილი შეფასებისათვის შეიძლება საჭირო გახდეს სერიული გამოკვლევების ჩატარება გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

დაავადების პროგრესირებასთან დაკავშირებული კლინიკური რისკ-ფაქტორები. რამდენიმე კვლევა ასოცირებული იყო ადრეულ მშობიარობასა (<37 კვირა) და ბავშვის ადრეულ ასაკთან (<6-12 კვირა), რომელთაც ქონდათ დაავადების მძიმე ფორმის განვითარების რისკის მზარდი მაჩვენებლით. ბრონქიოლიტით დაავადებულ ჩვილებს შესაძლოა განუვითარდეთ ანონე, რომელიც შეიძლება იყოს ასოცირებული გახანგრძლივებული პოსპიტალიზაციის, ინტენსიური თერაპიის და მექანიკური ვენტილაციის გაზრდილ რისკთან. სხვა ფონური მდგომარეობები, რომლებიც ასოცირებული იყო დაავადების მძიმე ფორმის პროგრესირებასა ან სიკვდი-

ლიანობასთან, მოიცავს ჰემოდინამიურად მნიშვნელოვან გუდის თანდაყოლილ დაავადებას, ფილტვის ქრონიკულ დაავადებას (ბრონქოპულმონარეული დისპლაზია, ცისტური ფიბროზი, თანდაყოლილი ანომალიები) და იმუნოკომპრომისულ მდგომარეობას.

### ბრონქიოლიტის დიაგნოსტიკის და მართვის ალგორითმი



ფიზიკური კვლევების მონაცემები ნაკლებად ასოცირდებოდა ბრონქიოლიტის გამოსავალთან. ზოგიერთი კვლევის (არა ყველას) მიხედვით, ტაქტის მნიშვნელობა როგორც სუნთქვის სიხშირე  $\geq 70$  სუნთქვა/წთ და ასოცირებული იყო დაავადების მძიმე ფორმის განვითარების გაზრდილ რისკთან.

### რეზუმე

მოცემული კლინიკური პრაქტიკის გაიდლა-ინში მოცემულია  $<2$  წლამდე ასაკის ბრონქიოლიტით დაავადებული ბავშვების დიაგნოსტიკისა და მენეჯმენტის მონაცემებზე-ორიენტირებული რეკომენდაციები. ბრონქიოლიტი არის კლინიკური დიაგნოზი, რომელიც არ მოითხოვს დიაგნოსტიკურ ტესტირებას.

### დასტვები

ავადმყოფის ისტორიისა და ფიზიკური კვლევის საფუძველზე კლინიკისტებმა უნდა მოახდინონ ბრონქიოლოგის დიაგნოსტიკა და შეაფასონ დაავადების სირთულე. დიაგნოსტიკისათვის კლინიკისტებმა რუტინულად არ უნდა მიმართონ ლაბორატორიული და რადიოლოგიური კვლევების გამოყენებას.

$<12$  კვირის ასაკის ბავშვებში ბრონქიოლიტით დაავადების მძიმე ფორმების განვითარების შემთხვევაში შეფასებასა და მენეჯმენტის გადაწყვეტილებების მიღებისას, კლინიკისტებმა უნდა განსაზღვრონ დღენაკლეულობის ისტორია, რისკ ფაქტორების, ფონური კარდიოკულმონარული დაავადების, ან იმუნოდეფიციტის სინდრომის არსებობა.

ბრონქიოლიტის მკურნალობისას არ შეიძლება ბრონქოდილატატორების გამოყენება რუტინულად.

რეკომენდირებულია -ადრენერგული ან ჰ-ადრენერგული საშუალებების ფრთხილი მონიტორინგული კვლევა. ინპალაციური ბრონქოდილატატორების გამოყენება უნდა გაგრძელდეს იმ შემთხვევაში თუ ობიექტური საშუალებების გამოყენების შედეგად ჩატარებული შეფასებისას მიღებულია დადებითი კლინიკური პასუხი.

ბრონქიოლიტის მკურნალობისას კორტიკოსტეროიდული საშუალებების რუტინული გამოყენება არ შეიძლება.

რიბავერინი არ უნდა იქნას გამოყენებული რუტინულად ბრონქიოლიტით დაავადებულ ბავშვებში.

ანტიბაქტერიული საშუალებები უნდა იქნას გამოყენებული მხოლოდ ბრონქიოლიტით დაავადებულ იმ ბავშვებში, რომლებიც თანმხელები ბაქტერიული ინფექციიდან გამომდინარე იღებენ სპეციფიურ დანიშნულებებს. ბაქტერიული ინფექციის არსებობის შემთხვევაში მისი მკურნალობა უნდა მოხდეს იმავე გზით, როგორც ბრონქიოლიტის არარსებობის შემთხვევაში.

კლინიკისტებმა უნდა შეაფასონ პიდრატაცია და სითხეების ორალური მიღება.

ბრონქიოლიტის მკურნალობისას არ შეიძლება რუტინულად გულმკერდის ფიზიოთერაპიის გამოყენება.

დამატებითი ჟანგბადი ინიშნება ადრე ჯანმრთელ ბავშვებში, იმ შემთხვევაში თუ SpO<sub>2</sub> მაჩვენებელი მცირდება პერსისტენტულად და იწვეს 90%-ის ქვემოთ. თუ SpO<sub>2</sub> პერსისტენტულად მცირდება 90%-ს ქვემოთ, უნდა გამოვიყენოთ ადექვატური დამატებითი ჟანგბადი, რათა შევინარჩუნოთ SpO<sub>2</sub> მაჩვენებელი 90%-ს ზემოთ. ჟანგბადის მიწოდების შეწყვეტა შესაძლებელია თუ SpO<sub>2</sub> მაჩვენებელი არის 90%-ის ზემოთ, ბავშვი კარგად იკვებება და აქვს მინიმალური რესპირატორული უკარისობა.

ბავშვის კლინიკური მდგომარეობის გაუმჯობესების შემთხვევაში SpO<sub>2</sub>-ის შემდგომი რუტინული გაზომვა არ არის საჭირო (არჩევითი)

ჩვილები, პერიოდინამიურად მნიშვნელოვანი გულის ან ფილტვის დაავადების ისტორით და დღენაკლი ჩვილები მოითხოვენ ფრთხილ მონიტორინგს რადგან ამ დროს ხდება ჟანგბადის შეწყვეტა.

კლინიკისტებმა შეიძლება დანიშნონ პალიგოზუმაბის პროფილაქტიკა საგანგებოდ შეჩეულ ბავშვებში, დღენაკლეულობის შემთხვევაში ( $<35$  კვირის ორსულობა) ან თანდაყოლილი გულის დაავადება.

პალიგიზუმაბით პროფილაქტიკა უნდა დაინიშნოს 5 თვითი დოზით, ჩვეულებრივ იწყებენ ნოემბერსა ან დეკემბერში, ერთჯერადი დოზა 15 mg/kg კუნთქვეშ.

ხელების პიგინა არის ყველაზე მნიშვნელოვანი RSV ნოზოკომიალური გავრცელების პრევენციისათვის. ხელების პიგინა აუცილებელია პაციენტთან და პაციენტის საგნებთან პირდაპირ კონტაქტამდე ან კონტაქტის შემდგომ და ასევე ხელთათმანების გახდის შემდგომ.

ხელების პიგინაში ალკოჰოლზე-დამზადებულ შესაზელ საშუალებებს ენტენდება უპირატესობა. ალტერნატივას წარმოადგენს ხელის დაბანა ანტიმიკრობული საპირო.

კლინიკისტებმა უნდა მიაწოდონ შესაბამისი ინფორმაცია სამედიცინო პერსონალს და ოჯახის წევრებს ხელების პიგინის თაობაზე.

ოჯახში ჩვილები არ უნდა გახდნენ პასიური მწეველები.

ძემული კვება რეკომენდირებულია .ბრონქიოლიტით დაავადების რისკის შესამცირებლად ბავშვებში.

წვენი თანამემაულები საერთაშორისო  
გამოცემებში (2008)  
NATO Science for Peace and Security Series  
E: Human and Societal Dynamics – Vol.37  
“Complexity and Security” Chapter 26 Children  
and Security

“A child has right to be defended from birth” George S. Chakhunashvili and Nino Kandelaki

(Zania Pediatric Clinic, Tbilisi State Medical University)

## CHILD AND SECURITY

### “*Child has the right to be defended since embryo*”

GEORGE CHAKHUNASHVILI MD PhD

NINO KANDELAKI MD PhD

Does a child raised in Caucasus have the best chance at health, education, and safety? Will a child raised in Georgia be able to face the challenges that globalization brings—today and in the future? Securing the well-being of our young people requires greater cooperation and information sharing. Our survey shows that we have only a partial picture of how our children are doing—there are significant knowledge gaps that if better understood could help us make wise and cost-effective decision in support of children and youth.

Good health is an essential factor if children are to live to their fullest potential. Children in Georgia share a number of similar experiences when it comes to their health and well-being. While the context of their lives varies, and there are some differences in the health challenges they face, there are surprising similarities across the continent. In fact, there are a number of critical health problems that could profitably be addressed through national initiatives.

A more complete understanding of the strength and significance of the relationship between child health and security is necessary to optimally develop policies that improve the quality of life of women and their families. The conceptual framework on child health and security is important for at least three reasons: first, there is a need to better understand the relationship between global environmental change and human security; second, there is a need for an international project that facilitates liaisons between researchers, policy makers and NGOs involved in environment and human security work; and third, work on environment and security thus far suggests that there are significant gaps that must be filled in order to provide useful information to policy makers. It should be underlined that bioethical guidelines are most important to be followed.

#### GLOBALIZATION

Globalization, technology, the “instantaneous” nature of international commerce, the advent of immediate communication, and rapid international travel and transport of people, plants, animals, and goods have all contributed to a world that functions as though it were shrinking in size. Globalization has resulted in increased dependence especially in the spheres of information, business, economics, and finance.

#### URBANIZATION

Population demographics relating to size, growth, density, geographic distribution, and economic patterns over the past five decades have supported urbanization as a progressive trend in Georgia and the rest of the world. The dominance of developing core cities and surrounding areas has become the reality. These metropolitan areas whether large or small, increase in population at a steady pace. The consequences of urbanization include: encroachment of human populations with the geographic spread of cities at their periphery into areas that have been natural animal habitats; pollution and adverse environmental outcomes; the stretching of available necessary resources (water, clean air, food, sewage systems, healthcare, public safety and emergency services, and infrastructure for energy production and distribution/transmission, communication, educational facilities, and social services); and the increasing vulnerabilities of such population concentrations to disease, economic adversity, and even terrorism through its development out of frustration and helplessness, as a focus for its expression, and through the creation of a terrorist haven.

#### TRENDS

Over the past few decades and especially in the last few years, changing patterns relating to human infectious diseases have emerged. SARS, Monkeypox, West Nile virus, Dengue fever, Plague, AIDS, Hanta viruses, and Lyme disease are prominent examples. Outbreaks of these diseases have occurred in unexpected geographic locations, at unexpected times of the year, and with unexpected severities. Georgian public in general is unaware of most of these diseases and **Public Health professionals have done little to educate healthcare workers and the public about them.**

Political events of the last ten years adversely affected child health in Georgia. Currently the infant mortality rate in the country is very high and varies from 15 to 25 deaths per 1000 live births. In the majority of such cases the causative agents are not being identified. As a rule, all newborns with a generalized infection with wide range of non-specific symptoms; including hyperthermia or hypothermia, jaundice, bleeding with associated coagulopathy, respiratory insufficiency, vascular instability, hepatomegaly, splenomegaly; are diagnosed as “neonatal sepsis” (without identification of etiology) and treated with broad-spectrum antibiotics. Despite this “empiric” treatment, the mortality rate for neonates with generalized infections of unknown origin is high, estimated to be over 65%. In addition, the

“neonatal sepsis” is frequently associated with infections of central nervous system - meningitis and encephalitis, which makes prognosis even poorer.


კოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, მეცნიერებათა განვითარება მიმდინარეობს და მათზე მონიტორინგის განხორციელება წარმოადგენს ძირითად ამოცანას, რომელიც ითვალისწინებს ქვეყანაში ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნას, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ცხოვრების

პირობების გაუმჯობესებას, ამასთან ერთად აუცილებელია შესაძლო ეკოპათოლოგიური პრევენცული ღონისძიებების გატარება, რომელიც XXI საუკუნეში ძირითად სტრატეგიად უნდა იქნეს მიჩნეული.

ამგვარად, ზემო ჩამოთვლილი პრობლემების გადაწყვეტა მხოლოდ საქართველოს პრობლემა არ უნდა იყოს და ამ საკითხთა გლობალურ პროგრამებად ქვევა კი შორეულ მომავალში არ უნდა დარჩეს;

იმედია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ისტორიას, კერძოდ, სამედიცინო საქმის, ღრმა ფესვების არსებობა ჩვენი ხალხის შორეულ წარსულში, მისი ინტელექტუალური პოტენციალის თანამედროვე მდგომარეობა, ჯერ კიდევ სანამ გვიან არ არის, თანამედროვე სტუდენტობასთან და ახალგაზრდა მეცნიერებით კინამდოლობით, საგსებით უზრუნველყოფს საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნებს, მაღალკალიფიციური სამედიცინო სამსახურს და მასთან ერთად ქართული სამედიცინო მეცნიერების მსოფლიოს სამედიცინო მეცნიერების მოწინავეთა რიგებში გაყვანას, რაც ჩვენი ამერიკელი და ევროპელი მეგობრების ინტერესში უდაოდ შედის.

ჩემს სიტყვას კი დაგასრულებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარების ილია II სიტყვით:

„ადამიანის ცხოვრება ეს არის გამოცდა, ეს არის განსაცდელი და იგი უნდა გავიაროთ დირსეულად. ღვთისგან ამ ქვეყნად მოვლენილი ყოველი ადამიანი არის ხატება ღვთისა, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მას თან სდევს ადამის და ევას მიერ ჩადენილი პირველქმნილი ცოდვა. ადამიანი უძლეურია და მას სჭირდება დახმარება, მადლი სულისა წმიდისა; სჭირდება ეკლესია, რადგან ეკლესია არის უძლიერესი სულიერი ძალა; ეკლესია არის საგანე, სადაც ადამიანი დღეულობს მადლი სულისა წმინდისა, „უძლეურთა მკურნალსა და ნაკლელევანთა აღმაგსებელსა“. ჩვენი წინაპრები ასე ლოცავდნენ ერთმანეთს, - „იხარეთ ორსავ სოფელსა შინა“ ერთადერთი პირობა ამისი არის სიახლოეს უფალთან, მისი უზენაესი ნების აღსრულება, უნდა ვიჩქაროთ სიკეთის კეთება იმიტომ, რომ არავინ ვუწყით როდის მოვა ის საოცარი და საიდუმლო დღე, როცა ადამიანი უნდა წარსდგეს წინაშე უფლისა, ჩვენს მიერ გაღებული სიკეთე კი უფალთან მიდის.“

**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი  
პროფესორი. აკადემიკოსი  
გიორგი ჩახუნძოლი**

# ერთერთი პირველი ქართული პრეპარატი

APIVIT აპივიტი

ძალა და ენერგია ჯანმრთელი, ძლიერი სულ  
ისთვის რეკომენდირებულია საქართველოს  
ექიმთა ასოციაციისმი-



ერ ნატურალური  
სრულფასოვანი კომპ-  
ლექსი

\* ვიტამინები

\* მინერალები

\* ამინომჟავები

— პრეპარატი 6 თვი-  
დან 1 წლამდე ასაკის  
ბავშვებში მიიღება 1/4  
ტაბლეტის ოდენობით  
2-ჯერ დღეში.

— 1-დან 3 წლამდე  
1/3 ტაბლეტის ოდენო-  
ბით 2-ჯერდღეში.

— 3-დან 5 წლამდე  
1/2 ტაბლეტის ოდენო-

ბით 2-ჯერ დღეში.

— 6-დან 12 წლისასაც 1 ტაბლეტის ოდე-  
ნობით 2-ჯერ დღეში.

— 12-დან ზევით 2-3 ტაბლეტი 2-ჯერ დღეში.

— განმეორებითი კურსის ჩატარება რეკომენ-  
დირებულია 3 თვეში ერთხელ, ყოველი სეზონის  
დასაწყისში.

— ორსულთათვის 3 ტაბლეტი დიღით 3 შუ-  
ადღისით.

— საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია დო-  
ზის გაორმაგება.

ქართული ფუტკარი თავისი ფრენის რადიუ-  
სით, ანატომიური და ფიზიოლოგიური თავისებუ-  
რებებით უნიკალურია მსოფლიოში ამიტომაც  
მის მიერ შეგროვილი პროდუქტები: ყვავილის  
მტვერი, ფუტკრის რძე, თაფლი და ა. შ. მრავალ-  
ფეროვანი და მდიდარია ორგანიზმის შენების,  
ზრდის, განვითარების, საერთოდ სიცოცხლისათ-  
ვის აუცილებელი ნივთიერებებით. ვიტამინებით,  
მაკრო და მიკრო ელემენტებით, ამინომჟავებით.  
აპივიტი წარმოადგენს სწორედ ამ ბუნებრივი, მა-  
დალხარისხოვანი შემადგენლობის კომპლექსს.

## წევნება:

— ფიზიკური და გონებრივი შრომისუნარია-  
ნობის სწრაფი ადდგენა და აქტივაცია.

— მძიმე ან ხანგრძლივი ავადმყოფობის შემ-  
დგომი რეაბილიტაცია.

— გასახდომი დიეტის სქემაში ჩართვა ორ-  
განიზმის გამოფიტვის და შესაძლო გართულქ-  
ბების თავიდან ასაცილებლად.

— სიმაღლეში ზრდაში ხელის შეწყობა მო-  
ზარდებისთვის.

— კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებები, დის-  
ბაქტერიოზი.

— ღვიძლის დაავადებები, განსაკუთრე-  
ბით დაბ ჰეპატიტები.

— პროსტატიტები, პროსტატის ადენომა (ჩარ-  
თვა კომპლექსური მკურნალობის სქემაში).

— პოტენციის დაქვეითება.

— ფარისებრი ჯირველის პათოლოგიები.

— გულ-სისხლძარღვთა სისგტემის დაავადე-  
ბების კომპლექსური მკურნალობის სქემაში  
ჩართვა, განსაკუთრებით ათეროსკლეროზის  
პროგრესირების შესახერებლად, მისი პროფი-  
ლაქტიკისთვის (როგორც ანტიოქსიდანტი, ან-  
ტიაგრეგანტი, იმუნური სისტემის კორექტორი).

— ჰედიატრიული პრაქტიკა.

— ორსულობა და ლაქტაციისპერიოდი. (აპი-  
ვიტის მიღებით უზრუნველყობობ ჯანმრთელ მომა-  
ვალებს).

— სპორტცმენები (განსაკუთრებით ძალების  
სწრაფი აღდგენისათვის, სწრაფი რეაბილიტა-  
ციისათვის). აქვს უარყოფითი დოპინგ-ტესტი,  
რის გამოც თავისუფლად შეიძლება გამოყენე-  
ბა შეჯიბრების წინ.

## შპუზენება:


— პრეპარატში შემავალი კომპონენტების მი-  
მართ მომატებული მგრძნობელობა.

— აპივიტის დღიური დოზის მიღება უმჯო-  
ბესია დიღით ან შეადგისას ჭამამდე 10-15 წუ-  
თით ადრე, ან ჭამის დროს.

## APININI APIPULMO აპინინი-აპიპულმო

წარმოადგენს ორი  
ბიოლოგიურად აქტი-  
ური კომპონენტებით  
მდიდარი პროდუქტის  
ფუტკრის ნაწარმისა  
და წიწვოვანი სექსტ-  
რაქტის ნაზავს.

გრძელი ხორთუმი-  
სა და ფრენის დიდი  
რადიუსის მქონე ქარ-  
თული ფუტკრის მიერ  
შეგროვილი ყვავილის  
მტვერი მდიდარია ორ-  
განიზმის შენების, გან-  
ვითარებისა და სი-  
ცოცხლისათვის აუცი-  
ლებელი ნივთიერებების.



ბით: ცილებით (შეიცავს ამინომჟავების 22 სახეობას, მათგან 8 შეუცვლელს), ნაჯერი და უჯერი ცხიმოვანი მჟავებით, გლიკოზიდებით, ვიტამინებით (A, B, C, D, PP, E, K, ფოლისმჟავა), ფოსფოტერინებით, რუტინით (სისხლძარღვის კედლის გამამაგრებელი ბიოფლავინოდი), მიკრო და მაკროელემენტებით (Fe, Zn, Cu, F). წიწვოვანი ექსტრაქტი-ქლოროფილით.

გამოიყენება: 1. მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფის შემდგომი რეაბილიტაციისათვის. 2. გონებრივი და ფიზიკური გადატვირთვისას, ზოგადოდგომარების და ნერვული სისტემის გასაუმჯობესებლად.

3. პარენტერალური კვებისას, ვავეტარიანულებისათვის და მათგან ვისკებით იმუნიტეტს, გამოიყენება იმუნოდეფიციტის დროს. რაციონშიც ცხოველური წარმოშობის პროდუქტები მცირეა;

4. არეგულირებს. 5. აუმჯობესებს ფილტვების ვენტილაციას, მათში უანგბადის მიწოდებას. 6. მწვავე რესპირატორული დაავადებების დროს და მათი პროფილაქტიკის მიზნით. 7. სასუნთქი სისტემის


ანთებითი დაავადებების დროს: ბრონქიტები, პნევმონიები, ტუბერკულოზი. 8. ქრონიკული დაღლილობის სინდრომის დროს. 9. ანტირადიაციული საშუალებაა. 10. ხელს უწყობს მოზარდთა სიმაღლეში ზრდას. 11. აუმჯობესებს გულ-სისხლძარღვთა სისტემისა და აუჭნაწლავის ტრაქტის ფუნქციას. 12. ორსულობის და ლაქტაციის პერიოდში. 13. ენდოკრინოლოგიაში: შაქრიანი დიაბეტის და ფარისებრი ჯირაჭლის პათოლოგიის დროს. წინააღმდეგ ჩვენებები: ინდივიდუალური აუტანდობა გვერდითი მოვლენები. გამოვლენილი არარისდოზირება: 6 თვიდან 1 წლამდე 1/4 აბი 2-ჯერდებული; 1 წლადან 3 წლამდე 1/3 აბი სამჯერ დღეში; 3წლადან 6 წლამდე 1 აბი 3-ჯერ დღეში. 6-დან 12 წლამდე 1,5 აბი 3-ჯერ დღეში; 12 წლადან 2 აბი 3-ჯერ დღეში; მკურნალობის კურსი ერთი თვე-განმეორებითი კურსი რეკომენდირებულია 3 თვეში ერთხელ. მიღების წესი: მიღება ჭამადე 15 წელით ადრე, ან ჭამის დროს. ხახვარი ჭიქა წყლის დაყოლებით, ან შეიძლება 13 სთ-დან 15 სთ-დევ, 17 სთ-დან 19 სთ-დევ. ეძლევა ექიმის დანიშნულებით.

გამოშვების ფორმა: ორი 30 ტაბლეტი ანიფლაკონი, ტაბლეტები თაფლის არომატით, არარის დაფარული საღებავიანი გარსით.

შენახვის წესი: ჰიგროსკოპულია და ინახება მშრალ, გრილ ადგილას, შენახვის ვადა 1 წელი.

### APIKOR აპიკორი

ორი ბიოლოგიურად აქტიური კომპონენტებით მდიდარი პროდუქტის ფუკტრის ნაწარმი-



სა და უურმნის წიპტის ნაზავია. უურმნის წიპტა ამცირებს დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდებს და საერთოდ ქლესტერინის შემცველობას სისხლში, რის შედეგადაც ათეროსკლეროზის პროგრესირება ფერხდება. ქართული ფუკტრის მიერ შეგროვილი ევაკილის მტვერი კი მდიდარია ორგანიზმის შენების, განვითარებისა და სიცოცხლისათვის აუცილებელი ნივთიერებებით:

ბით: ცილებით (შეიცავს ამინომჟავების 22 სახეობას, მათგან 8 შეუცვლელს), ნაჯერი და უჯერი ცხიმოვანი მჟავებით, გლიკოზიდებით, ვიტამინებით (A, B, C, D, PP, E, K, ფოლისმჟავა), ფოსფოტერინებით, რუტინით (სისხლძარღვის კედლის გამამაგრებელი ბიოფლავინოდი), მიკრო და მაკროელემენტებით.

აუმჯობესებს ცხიმოვან ცვლას, სისხლძარღვის კედელში ამცირებს ქლესტერინს, აუმჯობესებს მხედველობას. ხელს უწყობს ორგანიზმის გაწმენდას, წონაში დაკლებას. აძლიერებს იმუნიტეტს.

ხსნის ნერვულ დაძაბულობას სტრესების დროს, ორგანიზმს მატებს ტონუსს (ამაგრებს ენერგიით ცხიმების ცვლის ხარჯზე), აუმჯობესებს ძილს. გამოაქვს ტოქსინები. ხსნის „პახმელიას“.

აუმჯობესებს საჭმლის მონებებას, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, კუჭის, ღვიძლის, ელენთის ფუნქციას.

გამოიყენება: 1. ბავშვებში პარენტერალური კვებისას; მათგან ვის კვებით რაციონშიც ცხოველური წარმოშობის პროდუქტები მცირება. 2. იმუნიტეტის ასაწევად; ქრონიკული დაღლილობის სინდრომის დროს; ანტირადიაციული საშუალებაა. 3. გონებრივი და ფიზიკური გადატვირთვისას ზოგადი მდგომარეობის და ნერვული სისტემის გასაუმჯობესებლად. 4. ჭარბი წონის პროფილაქტიკისათვის, წონაში დაკლების პროგრამაში. 5. ათეროსკლეროზის, გულის იშემიური დაავადებების, პიპერტონიის პროფილაქტიკისათვის. 6. აბლომხედველობისა და მხედველობის სიმახვილის დაქვეითების საპროფილაქტიკოდ. 7. შაქრიანი დიაბეტის დროს, როგორც დამხმარე საშუალება. 8. ვაჟების სქესობრივი მომწიფებების პერიოდში, მამაკაცებშიდაქვეითებულისქესობრივიაქტივობისას; 9. დერმატიტების, გამელოტების, ცხიმოვანი

ცვლის დარღვევის, დვიძლის ცხიმოვანი დისტროფიის, დვიძლის, თირკმლის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებების დროს. 10. კლიმაქტურულ პერიოდში.

ინდივიდუალური აუტანლობა გვერდითი მოვლენები გამოვლენილი არ არის. დოზირება: 6 თვიდან 1 წლამდე  $1/4$  აბი 2-ჯერ დღეში; 1 წლიდან 3 წლამდე  $1/3$  აბი სამჯერ დღეში; 3 წლიდან 6 წლამდე 1 აბი 3-ჯერ დღეში; 6-დან 12 წლამდე 1,5 აბი 3-ჯერ დღეში; 12 წლიდან 2 აბი 3-ჯერ დღეში; მაურნალობის კურსი ერთი თვე; განმეორებითი კურსი რეკომენდირებულია 3 თვეში ერთხელ.

მიღების წესია: ჭამამდე 15 წუთით ადრე, ან ჭამის დროს. ნახევარი ჭიქა წყლის დაყოლებით, ან შეიძლება და იშვას და მოეყაროს თბილ საკვებს. მიღების რეკომენდირებულ იბით ლოგიური დროადილით 9-სთ-10-სთ. 13 სთ-დან 15 სთ-მდე, 17 სთ-დან 19 სთ-მდე. ეძლევა ექიმის-დანი შეცვლებით.

გამოშვების ფორმა: ორი 30 ტაბლეტი ანიფლაკონი. ტაბლეტები თაფლის არომატით.

შენახვის წესი: პრეპარატი ჰიგროსკოპულია და ინახება მშრალ, გრილ ადგილას. შენახვის გადა 1 წელი.

## APIKNO-APİHEPATİ აპიკიპნო-აპიჰეპატი

წარმოადგენს ბუნებრივ ნატურალურ მცენარეულ კომპონენტთა ჯამს: ფუტკრის ნაწარმო+წიწვოვანის ექსტრაქტი+ყურძნის წიპარი. სუპერჯანმრთელობის ელექტრიკური მდიდარია თითქმის ყველა იმ ბიოლოგიურად აქტიური კომპონენტებით, რომლებიც აუცილებელია ორგანიზმის ნორმალური ცხოველ მოქმედებისათვის დაჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის. ესენია: ცილები (შეიცვალ ამინომჟავების 22 სახეობას, მათგან 8 შეუცვლელს), აქტიური ლიპიდები, მათ შორის უჯერი ცხიმოვანი მჯავები, გლიკოზიდები, ვიტამინები (A, B, C, D, PP, E, K, ფოლიისმჟავა), რუტინი (სისხლძარღვის კედლის გამამაგრებელი იბიოფლავინოიდი), ფოსფოტერინები – მათ შორის ბეტა-სიტოსტერონი, რომელიც განაპირობებს ორგანიზმში ჰორმონალური ნივთიერებების სინთეზს (მეთილტესტ ასტერონი), ტრიტერპენოვანიოქსიოლიანოლის მჟავა, მიკროელემენტები (Fe, Zn, Cu, F), წიწვოვანი ექს-

ტრაქტი - ქლოროფილი, ყურძნის წიპარი და სხვა.

გამოიყენება: პროფილაქტიკური მიზნებისათვის ტონუსისა და იმუნიტეტის ასამაღლებლად: ფიზიკური და გონებრივი გადაძაბვის შემდეგ ორგანიზმის შრომისუნარიანობის აღსაღენად: ხელს უწყობს მოზარდების სიმაღლეში ზრდას; აუმჯობესებს ორგანიზმის ცხოველმოქმედებას და ანელებს დაბერების პროცესს; ათეროსკლეროზის, გულის იშემიურ დაავადებების, პიპერტონიის პროფილაქტიკისათვის.

ახლომხედველობისა და მხედველობის სიმახვილის დაქვეითებისა და საპროფილ აქტივოდ; შაქრიანი დიაბეტის დროს, როგორც დამხმარე საშუალება. ვაჟების სქესობრივი მომწიფების პერიოდში, მამაკაცებში და ქვეითებული სქესობრივი აქტივობისას; დერმატიტების, გამელობების, ცხიმოვანი ცვლისადარღვევის, დვიძლის ცხიმოვანი დისტროფიის, დვიძლის, თირკმლის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებების დროს. აუმჯობესებს ფილტვების ვენტილაციას, მათში ჟანგბადისმიწოდებას. სასუნთქისისტემისანთვითი დაავადებებისდროს. ბრონქიტები, პნევმონიები, ტუბერკულოზი. ქრონიკული დაღლილობისასიდრომისდროს. ანტირადიაციული საშუალება.


წინააღმდეგ ჩვენებები: ინდივიდუალური აუტანლობა. გვერდითი მოვლენები: გამოვლენილი არ არის. დოზირება: 6 თვიდან 1 წლამდე  $1/4$  აბი 2-ჯერ დღეში; 2 წლიდან 2 წლამდე  $1/3$  აბი სამჯერ დღეში; 3 წლიდან მოზრდილთათვის 3 აბი 3-ჯერ დღეში.

მკურნალობის კურსი ერთი თვე. განმეორებითი კურსი რეკომენდირებულია 3 თვეში ერთხელ.

შეიძლება დაიფშვნას და მოეყაროს თბილ-საკებებს. მიღების რეკომენდირებული ბიოლოგიური დროა დილით 9 სთ-10 სთ. 13 სთ-დან 15 სთ-მდე, 17სთ-დან 19სთ-მდე. ეძლევა ექიმის დანიშტაბლების. გამოშვების ფორმა: ორი 30 ტაბლეტიანი ფლაკონი. ტაბლეტები თაფლის არმატით.

შენახვისწესი: პრეპარატი ჰიგროსკოპულია დაინახებამშრალ, გრილადგილას. შენახვისვადა 1 წელი. რეკომენდირებულია საქართველოს ექიმთა ასოციაციისმიერ. არისქეართულიწარმო ებისბუნებრივი, ნატურალური კვებითი დანა მატი, რომელიც აკმაყოფილებს საერთოშორისო სტანდარტების ყველა ზემაცირებით ერთეულებს.

აფთიაქი „პარმაფარმი“ – ალ. ყაზბეგის გამზირი №8 (ტრანს პორტის სამინისტროს გვერდით) ტ. 38-41-71; ავლაბარი – ცისკრის ქ. 7.



ლელს), აქტიური ლიპიდები, მათ შორის უჯერი ცხიმოვანი მჯავები, გლიკოზიდები, ვიტამინები (A, B, C, D, PP, E, K, ფოლიისმჟავა), რუტინი (სისხლძარღვის კედლის გამამაგრებელი იბიოფლავინოიდი), ფოსფოტერინები – მათ შორის ბეტა-სიტოსტერონი, რომელიც განაპირობებს ორგანიზმში ჰორმონალური ნივთიერებების სინთეზს (მეთილტესტ ასტერონი), ტრიტერპენოვანიოქსიოლიანოლის მჟავა, მიკროელემენტები (Fe, Zn, Cu, F), წიწვოვანი ექს-

## თამაზ მარინაშვილის გახსენება

# «დავბარებულვარ, რომ ვიყო მონა და საქართველოს მედგას უღელი»



**თამაზ მარინაშვილი (1935-2005) – მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიაში სპეციალიზაციის კათედრის დოცენტი და სასწავლო ნაწილი, საქართველოს პედიატრთა ასოციაციის გამგეობის წევრი და მდივანი, პედიატრიული კლინიკის დირექტორის მოადგილე, სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის მდივანი.**

ჰეშმარიტებას ბრძანებს ფრანგი მწერალი, მფრინავი და სპორტსმენი სენტ ეკტიუპერი: „ჩვენ ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ“. ამასვე ეხმანება დიდი ქართველი მწერალი ალექსანდრე ფაზბეგი „გახსოვდეს ვისი გორისა ხარ!“

მოკლი ცხოვრება განვიცდიდ ერთი მხრივ სიამაჟეს საქართველოს გავრის გამო, მეორეს მხრივ, მუდამ შიშის გრძნობა მეუფლებოდა, შევძლებ კი გვარის ღირსეული წარმომადგენელი გავხდე?

ჩემი პაპა გიორგი მარინაშვილი ქართლის მართლმადიდებელი ეკლესიების დეკანოზი, ქართული ეკლესის განხეულობის თავდადებული დამცემი იყო. იგი წის აღუდგა გიგლა ბერბიჭაშვილის ცდას, გაეძარცვა ქართლის ეკლესიები და ამ ბრძოლაში დაიღუპა კიდევ. მემკვიდრეებიც შესანიშნავი მამულიშვილები ჰყავდა დეკანოზს: ალექსანდრე მარინაშვილი, გენერალ-მაიორი, მწერალი, უკრალისტი, უკრალ „არგუმენტი ი ფაქტის“ ერთ-ერთი დამაარსებელი. მოღვაწეობა მოსკოვში; პოლკოვნიკი მიხეილ მარინაშვილი დიდი პატრიოტი, აფხაზეთის ომის გმირი, უდროოდ დადუბული.

მამაქმი, სახალხო ექიმი, დავით მარინაშვილი კიევის წმინდა ვლადიმირის სახელობის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის კურსდამთავრებული, საქართველოს ეროვნული მთლიანობისათვის მებრძოლი, ქართულ ცხენოსანთა პოლკის

უფროსი ექიმი, 1920 წლის თურქეთისა და სომხეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედების მონაწილე, გენერალ მაზნიაშვილის მეურნალი ექიმი. დავით მარინაშვილი ექიმთა ერთ-ერთ პირები თაობას ეპუთვნოდა და 40 წლის მანძილზე თავდაუზოგავად ემსახურა მშობელ ხალხს.

არ მიყვარდა სასწავლებლების და სამსახურების ცვლა. პირველი კლასიდან მეთერთმეტე კლასის ჩათვლით ვსწავლობდი თბილისის რკინიგზის № 2 გაეთა სამუალო სკოლაში, რომელიც ქალაქის კოლორიტულ უანძში, დიდუბეში, ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩაზე მდებარეობდა. მიუხედავად უმიმდების პერიოდისა სკოლაში, როგორც მოსწავლეთა, ასევე მასწავლებელთა მხრივ სიკეთე და სიყვარული სუფერდა. ახლაც თვალწინ მიღდას ჩვენი უსაყვარლესი ქართული ენის მასწავლებლის კლიმენტი კაპანაძის გაოგნებული სახე: იმ დროს უმაღლესი ინსტანციების ბრძანებით სკოლებში ვაჟა-ფშაველას სწავლება აირდალა, მასწავლებელი შეგვკრებდა რამოდენიმე სანდო მოსწავლეს და გატაცებით გვიკითხავდა ვაჟას უკვდავ სტრიქონებს.

როგორი ღირსეული მამულიშვილები გაიზარდნენ ჩვენს კლასში, პროფესიონი რიჩარდ მეგრულიშვილი, გროსმაისტერი ბუხუტი გურგენიძე, ოლიმპიური ჩემპიონი რობერტ შავლაყაძე და სხვა.

ანკი როგორ შეიძლებოდა იმდროინდელ თბილისში ბოროტებას ეზეიმა, როდესაც ყოველდღიურად ვხვდებოდით პლესანოვის პროსპექტზე მოსეირნე გალაპტიონს, ხოლო რუსთაველის პროსპექტზე კი ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, ქართული სიტყვის დიდოსტატი, კონსტანტინე გამსახურდია დაბრძანდებოდა. ვერ ვცილდებოდით რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის ოეატრებს, სადაც გენიალური მსახიობები მოღვაწეობდნენ: აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, ვერიქო ანჯაფარიძე, ვასო გომიაშვილი, სერგო ზაქარიაძე, ურა შავგულიძე და მრავალი სხვა.

სკოლის დამთავრებისთანავე 1952 წელს ჩაიკიცხე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიულ ფაკულტეტზე. აქაც საოცარი სამყარო დამხვდა, პედაგოგებად განგებად მომზინა ქართული უნივერსიტეტის ფუძემდებლები, დიდი ივანე ჯავახიშვილის თანამებრძოლები: აკადემიკოსები ალექსანდრე ნათოშვილი, ვლადიმერ ჟღენტი, ზაქარია მაისურაძე და სხვანი.

მუშაობის დაწყების შემდეგ ბედმა კვლავ გამანებივრა: მე საქმიანი ურთიერთობა მქონდა

ქართული პედიატრიის კველა კორიფეულთან: დიდ მეცნიერთან და პრაქტიკოსთან, პროფესორ მარიამ ბოკერიასთან, საოცრად მხრუნელ, მაგრამ მკაცრ პროფესორ ფელიციტა შოთაძესთან, პროფესორ ნოვატორ ირაკლი რცხილაძესთან, მაღალი ადამიანური თვისებების მქონე აკადემიკოს ირაკლი ფადაგასთან, საოცარ დინჯ და ბრძენ პოროგნებასთან პროფესორ ვლადიმერ თოხაძესთან, ერუდიორებულ და ნიჭიერ პროფესორ ნოდარ ხერხეულიძესთან, კველასათვის საყვარელ დიდებულ ადამიანთან და პროფესიონალთან პროფესორ მერი გელოვანთან. ამ ადამიანების მიმართ გამაჩინია საოცარი მადლიერების გრძნობა. მათი დამსახურებაა თუკი რაიმე თეორიული ან პრაქტიკული ცოდნა გამაჩინია.

ცალკე მინდა გამოვყო ჩემი ურთიერთობა უფროს მეგობართან და მასწავლებელთან, მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერ, პროფესორ იოსებ კვაჭაძესთან. ჩვენმა ხანგრძლივ მა თანამშრომლობამ ბევრი სასარგებლო ნაყოფი გამოიღო. 1969 წელს ბატონიშვილი იოსებ კვაჭაძემ, ბატონიშვილი მირიან ქუჩუკაშვილმა და მე საქართველოში პირველად პიდროცეფალით და დაუნის დაავადებით შეპყრობილ ახალშობილის ზურგის ტკინის სითხეში გამოყავით პარაზიტი ტრქის სისახლი გონდი. პირველად ჩვენს მიერ იქნა ურადღება გამახვილებული იმ ფაქტზე, რომ თანდაყოლილი ინფექციები საქართველოს რესპუბლიკისათვის უცხო არა და იგი დიდ საფრთხეს უქმნის ერის მომავალს. ეს მოსაზრება ნახევარი საუკუნით უსწრებდა წინ თანდაყოლილი ინფექციების დღევანდელ ბუმს.

1972 წლიდან კათედრაზე დავიწყეთ რევმატული ჯგუფის დაავადებების კლინიკის, იმუნოლოგიის და იმუნოგენეტიკის საკითხების შესწავლა. ამ საკითხებზე გამოქვეყნებულმა შრომებმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს.

ჩემს მიერ ბატონ იოსებ კვაჭაძესთან ერთად რესპუბლიკური პირველად აღწერილია ათი ახალი სინდრომი და დაავადება.

დასტამული მაქვს პედიატრიის აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილი 83 სამეცნიერო შრომა, რომელიც გამოქვეყნდა როგორც ჩვენში, ასევე საზღვარგარეთ. ვარ სამი სახელმძღვანელოს ავტორთა კოლექტივის წევრი.

ძალზე მნიშვნელოვან ფაქტად მიმაჩნია ის ძალისხმევა, რაც მოვახმარეთ საქართველოს პედიატრთა საზოგადოების პედიატრთა ასოციაციად გარდაქმნას, რის შემდეგ საქართველოს პედიატრები, პედიატრთა მსოფლიო ასოციაციის წევრები მიღებას მაშინ მე ახოციაციის გენერალური მდივანი გახსნდით.

1993 წელს თბილისის ბაგშვია №2 კლინიკურ სავადმყოფოს სათავეში ჩაუდგა გამოჩენილი მეცნიერი და კლინიკისტი, პროფესორი მანან უგანია. მე კი დირექტორის მოადგილე გახსნდით. საავადმყოფო დარბეული და გახანაგებული იყო. ქალბატონ მანანას ხელმძღვანელობით მდგომარეობა გამოსწორდა, საბოლოოდ კი თსხუც-ს რექტორის აკადემიკოს რ. ხეცურიანის ძალისხმევით სავადმყოფო გადაკეთდა უნივერსიტეტის პედიატრიულ კლინიკად (დირექტორი პროფ. რ. კუბიძის), რომელიც ამჟამად საუკეთესოა კლინიკაში. მასში თავმოყრილია ქართული პედიატრიული ელიტის მირითადი ძალები.

პროფესორმა მანანა უგანიამ თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე დაიწყო რევმატული ჯგუფის დაავადებების და თანდაყოლილი ინფექციების შესწავლა. აღნიშნული საკითხი კათედრის ძირითადი თემატიკა გახდა.

თანდაყოლილ და მემკვიდრეობით დაავადებებს რამდენიმე კონფერენცია მიუძღვნა სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდმა, რომელსაც წარმატებით ხელმძღვანელობს ბატონი იოსების დირექტორი მოწაფე პროფესორი გიორგი ჩახუნაშვილი, ფონდის მდივანი მე გახლავართ. 6-7 ნოემბერს გამართულ კონფერენციაზე ახალგაზრდა პედიატრთა არნახული რაოდენობა მოვიდა - 800 კაცამდე. სამწუხარიდ, პედიატრიული კლინიკის დიდმა სააქტო დარბაზმა ვერ დაიტანა ხალხის ასეთი მოზღვავება. სიხარულით დავაფიქსირე, თუ როგორ მოსწყურებია ჩვენს შესანიშნავ ახალგაზრდობას მეცნიერული დისტაციი.

რაც შეეხება საშეფო და საკონსულტაციო მუშაობას, მას ინსტიტუტში სწავლის პერიოდიდან ვეწევი. აღნიშნული მუშაობა პროფესორი ი. კვაჭაძემ მაღალ დონეზე აიყვანა, ადრე თუ იგი ერთეული ენთუზიასტების მხრეზე გადადიოდა, დღეს სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდმა გ. ჩახუნაშვილის ხელმძღვანელობით საკონსულ-



პედიატრთა X საგავშირო ყრილობა.  
მარცხნიდან მარჯვნივ: თ. მარინაშვილი, ი. კვაჭაძე, ნ. შავლიაშვილი, ბ. ორეხოვი და გ. ჩახუნაშვილი

ტაციო მუშაობა გააჩადა მთელს საქართველოში, რომელშიაც მონაწილეობს ყველა მოქმედი მაღალკალიფიციური ქართველი პედიატრი.

ასევე აქტიურად ვძინაშილებ მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა საკონსულტაციო მუშაობაში. წლების განმავლობაში ვიყავი თბილისის ოკინიგზის ბავშვთა საავადმყოფოს, თბილისის ბავშვთა IV პოლიკლინიკის, თბილისის დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრის კონსულტაციი.

თამამად შემოძლია ვთქავა, რომ ჩემი ხანგრძლივი საექიმო მოღვაწეობის მანძილზე 30 ათასზე მეტ ბავშვს ჩაუტარე კონსულტაცია ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.

ცხოვრებაში ყველაზე მკაცრი მსაჯული საკუთარი სინდისია. მოღვაწეობის 43 წლის გადასახედიდან ადამიანი, უნდა თუ არა, აუცილებლად დაუსვამს კითხვას საკუთარ თავს: რისთვის იცხოვრა, საერთოდ ღირდა თუ არა მისი ამქეუნად მოსვლა?

ამ კითხვაზე პასუხი ორგვარია: პირველი – კმაყოფილების გრძნობა, უამრავი მადლიერი პაციენტი, მაღლიერი სტუდენტი, სამეცნიერო თუ პრაქტიკული წარმატებების სიხარული; მეორე მხრივ კი ეჭვის ჭია გღრღნის, ამოწურე თუ არა შენი შესაძლებლობები? გაიღე თუ არა ყველაფერი სამშობლოსთვის, პასუხი ხალხს, მომავალს ეკუთვნის.

## „შეის ნოგათის“ ახალი ნამლის ფორმის ფეროლოგიის, რეცეპტურის და სცანდარტიზაციის მეთოდის შემუშავება

ვ. ხოსიტაშვილი, პ. ა. იავიჩი, გ. ჩახუნაშვილი,  
ლ. ხოსიტაშვილი, ლ. ჭურაძე, თ. რუხაძე.

ვ. ლ. ხოსიტაშვილის და ლ. ვ. ხოსიტაშვილის მიერ შემუშავებული პრეპარატი „ტყის ნობათი“, წარმოადგენს ერთ-ერთ მცენარეული წარმოშობის სამკურნალო საშუალებას, რომელიც ამჟღავნებს რადიოდამცავ აქტივობას. პრეპარატს ორგანიზმიდან გამოყავს როგორც რადიაქტიური იზოტოპები (ურანი, სტროციუმი და სხვა), ასევე მძიმე მეტალებიც (1, 2). კლინიკური კვლევებით მიღებული შედეგების მიხედვით, კერძოდ, ონკოლოგიურ საავადმყოფოებში, აგადმყოფებს, რომლებსაც მედიკამენტოზური სამედიცინო კვლევა ჩაუტარდათ, გამოავლინეს მაღალი აქტივობა. რადიოაქტიურ ეფექტობან ერთად პრეპარატი ახდენს ორგანიზმის დამცავი ძალების სტიმულაციას. ეს ერთ-ერთი არსებითი ფაქტორია ავადმყოფთა დასხვევების შემდგომი რეაბილიტაციისათვის.

პრეპარატის სუბსტანცია წარმოადგენს რიგ მცენარეთა ექსტრაქტს. პრეპარატი „ტყის ნობათი“ გამოდის ამ ექსტრაქტების შემცველი სიროფის სახით.

ერთის მხრივ დოზირებული თხევადი ფორმები იწვევს გარკვეულ სიძნელეებს. ჩვეულებრივი რეკომენდაციები – „ერთი ჩაის კოვზი“ ან ერთი სუფრის კოვზი“ – არ იძლევიან ზუსტი დოზირების საშუალებას.

მეორეს მხრივ, შაქრიანი სიროფის – პრეპარატის გამოყენება, რომელიც წარმოადგენს როგორც სტბილიზატორს, ასევე ნილბავს გემოს, რომელიც შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა-თვის სახიფათოა.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, უფრო მოსახერხებელი სამკურნალო ფორმების შექმნის აუცილებლობას იწვევს. ეს შესაძლოა იყოს ულატინის კაფსულები ან ტაბლეტები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პრეპარატი შეინოვება კუჭში, ამიტომ ორივე წამალთა ფორმა უნდა იყოს კუჭში ხსნადი.

მყარი წამალთა ფორმის მისაღებად აუცილებელი იყო სქელი ან მშრალი ექსტრაქტების წინასწარ მიღება. თხევადი ექსტრაქტების აორთქლებისას ვაკუუმით მიღება ჰიგროსკოპულად ბლანტი მასა, რომლის კაფსულირება ან ტაბლეტირება პრაქტიკიულად შეუძლებელია. ამასთან დაკავშირებით გამოყენებული იქნა [ ] ჰიგროსკოპული სუბსტრანციის ინდიფერენტულ შემავსებელთან შერევის მეთოდი. შემავსებლად გამოყენებულ იქნა სახამებელი და რძის შაქარი. არაჰიგროსკოპული მასის მისაღებად, რომელიც ადვილად გრანულირდება, თანაფარდობა შემდეგია: 10:3:7.


მშრალი გრანულირების პროცესში მიღებულ იქნა სხვადასხვა ზომის გრანულები. გრანულირებული მასის მეტად მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს ?რაქციული შემადგენლობა, მოცულობითი მასა, ჩამოყრითი მასა, სიფხვიერე, ნარჩენი სინამე, ბუნებრივი აზრის კუთხე, და ზოგიერთი სხვა პარამეტრი.

კაფსულირების ერთ-ერთ ძირითად ოპერაციას წარმოადგენს გრანულაცია. პროცესში ძირითად როლს ზედაპირულმოლეკულური ძალები

თამაშობს. მათი მოქმედება დამოკიდებულია ნაწილაკთა ჯამურ ზედაპირულ შეხებაზე, რომელიც ხასიათდება გრანულების ზომების სიდიდით და ფრაქციული შედგენილობით. ნათელ ნარმოდენას გრანულთა სიდიდეზე იძლევა განაწილების დიაგრამა (სურ. 1). იგი საშუალებას იძლევა ანალიზურად გამოისახოს ნარევში მარცვლების (ზომების მიხედვით) განაწილების კანონზომიერება მიზნით გამოიყენება როზინის და რამლერის განტოლება:

$$W = 100e^{-\left(\frac{d}{de}\right)^n}$$

სადაც  $W$  – ჯამური გამოსავალი დადებითად.



სურ. 1

გრანულთა საშუალო ზომები ფრაქციის მიხედვით. მმ გრანულატის მრუდი გრანულების და სპერსულების მიხედვით.

ცხრილი სურ. 1-თვის

ნაწილთა ზომები მმ-ში	შემცველობა %-ში
0,1	0,1
0,25	10,3
0,5	30,2
1,0	34,1
1,5	20,1
2,0	4,5
2,5	0,7

მატერიალის სიდიდე (ზომა) – მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს ნაწილაკთა გაფანტვას სიდიდის მიხედვით. რაც უფრო დიდია ტ-ის მნიშვნელობა, მით უფრო ერთგვაროვანია მასალა. ტ/

მნიშვნელობისთვის ყველა ნაწილაკი ერთნაირი ზომისაა.

გრანულომეტრული მახასიათებლის ანალიზური კანონის საფუძველზე გრანულომეტრული ანალიზის მონაცემები იძლევა საშუალო მაჩვენებლის გრანულომეტრული მასის გამოვლის საშუალებას.

სხვადასხვა ზომის გრანულების ნარევში საშუალო სიდიდეს საზღვრავენ საშუალო დიამეტრის სიდიდით. მისი სიდიდით შეიძლება განისაზღვროს ფარდობითი სიმსხო (სიდიდე ზომის მიხედვით) სხვადასხვა გრანულომეტრული მახასიათებლის შედარებისას. სხვადასხვა ზომის გრანულების ნარევში საშუალო დიამეტრის თვისებების განმსაზღვრელად რეკომენდებულია გრანულების ხვედრითი ზედაპირი, როგორც ძირითადი ფაქტორი ტექნოლოგიაში.

ცნობილი გრანულომეტრული მახასიათებლის მიხედვით გრანულების საშუალო დიამეტრი ამ შემთხვევაში განისაზღვრება, როგორც საშუალო ჰარმონიკული.

$$D = \frac{\sum W_0}{\sum \frac{W_0}{d}}$$

გრანულების ჩაყრითი მასა ნარმოადგენს მნიშვნელოვან მახასიათებელს. რაც დიდია იგი, მით ნაკლები ჰარმონია ნარევში და მით უფრო მაღალი არის მიიღება კაფსულებში მასის ჩაყრა. ჩასაყრელი მასის სიდიდე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მისი განსაზღვრის პირობებზე – ენდეასიანის სიჩქარეზე, ნაწილაკთა ვარდნის სიმაღლეზე, მზომი ჭურჭლის მოცულობაზე.

Іანіერია მასა ( $P$ ) განსაზღვრული როგორც მოცულობის თავისუფლად ჩაყრილი ფხვნილის ყველა ერთეული, გამოითვლება ფორმულით  $P=P_B/v$ , სადაც  $P_B$  – ფხვნილის მასაა, რომელიც მოცულობას იკავებს (ჩვეულებრივ  $P$  გამოსახავენ  $B/l^3$ -ში). ვიცით რა გასაზომი ფხვნილის სინამე,  $P$ -ის მნიშვნელობიდან შეიძლება გამოვთვალოთ აბსოლუტურად მშრალი ფხვნილის ჩაყრილი მასა ( $P_c$ ) ფორმულით:

$$P_c = P \frac{100-f}{100}$$

სადაც  $f$  – ფხვნილის სინამეა. ფორმულა გამოყვანილია ფხვნილის კოგეზიური თვისებების და მათზე ტენის მოქმედების ჩათვლის გარეშე, ამიტომ იგი ვარგისია მხოლოდ ფხვნილებისთვის,

რომლებშიც კოგეზიური ძალების უგულებელყოფა შესაძლებელია.

P-ის განსაზღვრისას თავისუფალი ჩამოყრა ფაქტიურად არ წარმოადგენს ფხვნილის მკაცრად ფიქსირებულ მდგომარეობას. მისი უფრო განსაზღვრული მდგომარეობა წარმოიქმნება ცილინდრის შევსებისას ფხვნილით მასში ჰაერის ერთდროული ჩაბერვით, ფიქსირდება ფხვნილის მოცულობა, რომლის დროსაც იწყება მისი ფლუოდიზაცია, რომელიც კონსტანტირდება ჩაბერილი ჰაერის წნევის მკვეთრი ვარდნით. ამ მდგომარეობასა და მჭიდრო შეფუთვას შორის შესაძლოა იყოს უამრავი მდგომარეობა ფუთვის შუალედური სიმკვრივესთან. ჩაყრითი მასა კომპლექსური ხასიათისაა, რომელიც პირველ რიგში დამოკიდებულია ფხვნილის ნაწილაკებისდისპერსულობაზე, ფორმაზე, ხვედრით ზედაპირზე და მათ განაწილებაზე ზომის მიხედვით. აგრეთვე ფხვნილის სინამეზე, მის საერთო მოცულობაზე, მინარევების და დანამატების შემცველობაზე და სხვ. თეორიულად მრავალდისპერსულ ბურთისებრ ნაწილაკთათვის არ არის დამოკიდებული ზომებზე. ეს დამტკიცებულია ექსპერიმენტულად და დადგენილია, რომ არის ნაწილაკთა გარკვეული კრიტიკული ზომა (z კრ). ნაწილაკთა დიდ ზომებზე ზ არ არის დამოკიდებული, ხოლო კრ ნაკლები ზომის ნაწილაკთა ფხვნილებისთვის P მცირდება მათი ზომების შემცირებისას. ფხვნილებში? კრ მცირე ნაწილაკებით გამოვლინებას იწყებს ნაწილაკთა შორის კოგეზიური ძალები, რასაც ზ-ის შემცირებასთან მივყართ. უმრავლესობა ფხვნილებისა, ქიმიური და კვების მრეწველობის მიერ წარმოებული კოგეზიურია. ისინი ჩაყრის სიმკვრივით K ხასიათდებიან, რომელიც ტოლია 0,3-0,05 არაკოგეზიურობისაგან განსხვავებით, რომელთათვისაც K>0,5. (K=P/y, სადაც y ფხვნილის ნაწილაკთა სიმკვრივეა. მოწოდებულია კოგეზიური ფხვნილების შეფუთვის თეორიული მოდელი, რომლის თანახმადაც, მისი თავისუფალი ჩაყრისას ნაწილაკები არიან როგორც მეტად თავისუფალ კუბურ, ასევე მეტად მკვრივ რომბოედრულ შეფუთვაში; გარდა ამისა, მოცემული ჩაყრისას არის გარკვეული თავისუფალი მოცულობა. ასეთი მოცულობის არსებობის დასკვნა წვრილ კოგეზიურ ფხვნილებში გაკეთებულია მათში თავისუფალი მოცულობის საფუძველზე, ექსპერიმენტულად განსაზღვრული და თეორიულად გათვლილი კუბური შეფუთვისთვის. ფხვნილის ჩაყრისას სრული თავისუფალი მოცულობა შედგება კუბური და რომბოედრული შეფუთვებში სიცარიელის მოცულობისა და მათ

შორის თავისუფალი მოცულობისგან. მიღებული მოდელის საფუძველზე თეორიულად გამოყვანილია დამოკიდებულება შეფუთვის სრულ მოცულობასა და ფხვნილის ??????? მახასიათებლებს შორის, დამტკიცებული ექსპერიმენტულად. პრაქტიკისათვის მნიშვნელოვანია შეფუთვის დამოკიდებულება და შესაბამისად ფხვნილის P სსში ნაწილების ზომების მიხედვით განაწილებაზე. შეფუთვის სიმკვრივის დამოკიდებულება ნაწილაკთა განაბნევის ხარისხზე, ფასდება ფხვნილის განაწილების მრუდის სტანდარტული გადახრით. თავისუფალი შეფუთვა აღინიშნებოდა, თავდაპირველად, ფლუოდიზაციის დაწყებისას ზომების მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში P მცირე ხარისხითაა დამოკიდებული ნაწილაკების განაბნევაზე ზომის მიხედვით, ამავე პირობებში იგი მკვეთრად იზრდება ნაწილაკების საშუალო რადიუსის შემცირებასთან.

P-ის გამოყენება ხელსაყრელია ფხვნილების კონტროლისათვის და გრანულატების ტაბლეტირების ტექნოლოგიაში, რადგან იგი ახასიათებს ფხვნილის რიგ ტექნოლოგიურ და ფიზიკურ თვისებებს და ადვილად ექვემდებარება გაზომვას. P შემცირება, რომელიც დოზის გაზრდას იწვევს, საჭიროებს მეტ გადანაცვლებას და განაპირდებს მასაში ცვლილებას. ჩაყრითი მასა არსებითად მოქმედებს ფხვნილების დაფასოებაზე; P-ის გადიდებასთან ერთად მცირდება დოზირება ფხვნილის ჩაყრისას.

ზოგიერთი ტექნოლოგიური პროცესების ჩატარებისას (დაქუცმაცუბა, გაცრა, ჩამოცლა და სხვ.), ყოველ ტექნოლოგიურ პროცესს უდგინდება თავისი P გადასამუშავებელი ფხვნილისთვის, ამასთან დაკავშირებით რეკომენდებულია სამუშაო სიმკვრივის შემოღება, რომელიც მოცემულ ტექნოლოგიურ პროცესში P-ის ტოლი იქნება. ჩვენი მონაცემებით, ცუდი ჩადინება ახასიათებთ წვრილ დისპერსულ ფხვნილებს, რომლებიც 70-100 პროცენტით 0,25 მმ ნაკლები ზომის ნაწილაკებს შეიცავენ. ფაშარი განლაგებით, მაღალი შემჭიდროების კოეფიციენტით და ნაწილაკების არასწორი ფორმით ხასიათდებიან.

უკეთესი ჩამოდინებით ახასიათებთ 15 პროცენტი წვრილი ფრაქციის შემცველ ფხვნილებს, საკმაოდ მცირე შემჭიდროების კოეფიციენტით და ნაწილაკების ფორმით, რომელიც ახლოა სწორ გეომეტრიულთან. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ წვრილ დისპერსულ ფხვნილებს აქვთ დიდი კონტაქტური ზედაპირი და სათანადოდ მნიშვნელოვანია შეჭიდულობის ძალთა მოქმედება.

თუმცა, ჩამოდინება როგორც ჩანს, ხასიათ-დება არა ცალკე აღებული ერთი მაჩვენებლით, არამედ კომპლექსური მახასიათებელია, რომე-ლიც ვლინდება როგორც რიგი ფიზიკური თვისე-ბების ფუნქცია; ფხვნილის დისპერსულობა, შე-კუმშვის კოეფიციენტი, რომელიც ჩალაგების სიმკვრივეს ახასიათებს, ნაწილაკთა ფორმა.

კაფსულირების პროცესზე და მიღებული კაფ-სულების ხარისხზე მნიშვნელოვან გავლენას ახ-დენს ნარჩენის სინამე. გრანულებში სინამე უნდა იყოს ზომიერი და შეესაბამებოდეს ოპტიმალურ სიდიდეს. გრანულების ყოველი სინამისთვის შეი-ძლება შერჩეული იქნას კაფსულირების აპარა-ტის ოპტიმალური მუშაობის პირობები. ამიტომ ნარჩენი სინამის განსაზღვრა გრანულებში და შენარჩუნება ოპტიმალურ ზღვრებში მნიშვნე-ლოვანია სწორი მუშაობისთვისა და მაღალი ხა-რისხის კაფსულების მიღებისთვის.

ბუნებრივი დახრის კუთხე ეწოდება ფუძესა და თავისუფლად ჩამოყრილი ფხვნილის მიერ ნარმოქმნილ ბორცვს შორის კუთხეს. დახრის კუთხის არსებობა ზოგადად დაკავშირებულია ნაწილაკებს შორის ფხვნილის ნაწილაკებს შო-რის მინაგანი ხახუნის ძალების და კოგეზის გამოვლინებასთან. თუ ესენი მცირეა და მათი მოქმედების უგულებელყოფა შეიძლება, მაშინ დახრის კუთხე იზომება მხოლოდ ფხვნილის ნა-წილაკთა შორის ხახუნის ძალებით. ასეთი ფხ-ვნილები პრაქტიკულად ხასიათდებიან მხოლოდ შინაგანი ხახუნის კუთხით (θ) რომელიც ისაზღ-ვრება კულობის კანონით მშრალი ხახუნისთვის და ფხვნილისთვის ჩაინერება:  $mg \sin \theta = \mu mg \cos \theta$ ; სადაც  $\theta$  ნაწილაკთა მასაა, წონასწორობაში მყოფ  $g$  – სიმძიმის ძალის აჩქარება:  $mg \sin \theta = \mu mg \cos \theta$  შინაგანი ხახუნის კუთხით, მაშინ როცა რომელიც მიისწრაფვის ნაწილაკის და-ძვრისკენ:  $mg \cos \theta = \mu mg \sin \theta$  – ნაწილაკის მოსვენებით მდგომარეობაში შემაკავებელი ნორმალური შე-მადგენელი;

$$\mu = \frac{\sin \theta}{\cos \theta}$$

შინაგანი ხახუნის კოეფიციენტი.

კუთხეები  $\theta$  და  $\alpha$  რამდენადმე განსხვავებუ-ლია, ვინაიდან დახრის კუთხე განისაზღვრება ასე თუ ისე მდგრადი ნაწილაკებით, მაშინ როცა ხახუნის კუთხე დამოკიდებულია ყველა ნაწილა-კის საშუალო მდებარეობაზე. თუმცა ბუნკერი-დან იდეალურად ფაშარი სხეულების ჩამოსაყრე-ლად, გარდა შინაგანი ხახუნის კუთხისა მნიშვნე-ლობა აქვს (სიმშვიდის ხახუნის, სრიალის ხახუ-

ნის, კედელზე ხახუნის) ამ პროცესში ფხვნილი-სთვის დამახასიათებელ რიგ სხვა კუთხეებს. შეი-ძლება ჩაითვალოს, რომ იდეალურად ფაშარი სხეულებისთვის  $\alpha$  კუთხის სიდიდე ახლოა  $0^\circ$ -სთან. მნიშვნელოვანად ახასიათებს მათ ფაშა-რულ თვისებებს.

მიღებული შედეგების მიხედვით (სურ. 1: ცხ-რილი 1) გრანულირებული მასალის მახასიათე-ბელთა სიდიდე მდებარეობს ჩვეულებრივ გამო-ყენებულ ზღვრებში.

კაფსულებიდან ბიოლოგიურად აქტიურ ნივ-თიერებათა გამოთავისუფლება ტარდებოდა სა-ქართველოს ფარმოკოპიის მიერ [ ].

საშუალო მასის განსაზღვრისთვის გამოყენე-ბული იქნა „ტყის ნობათი“-ის ფხვნილის სუსპენ-ზით შევსებული 20 კაფსულა.

#### ცხრილი 1

##### გრანულირებული მასალის ოპტიმალური მახასიათებლები

მახასიათებელთა დასახელება	მახასიათებლის სიდიდე
ჩვეულებრივი მასა	0,79 გ/სმ <sup>3</sup>
ჩასაყრელი მასა	0,7 გ/სმ <sup>3</sup>
ფაშარობა	8,84 სმ <sup>3</sup> /მ
ნარჩენი სინამე	7,3 %
ბუნებრივი დახრილობის კუთხე	40 °
მოქმედი ნივთიერების შემცვე-ლობა	2,1 %

აწონვა ხდებოდა შიგთავსიდან განთავისუფ-ლებამდე და შემდეგ. ორივე შემთხვევაში, ყოვე-ლი კაფსულის მასის გადახრა საშუალოსგან წარ-მოადგენდა 7,5 პროცენტს და 9,3 პროცენტს, ანუ აკმაყოფილებდა არსებულ მთხოვნებს.

დოზირების ერთგვაროვნების განსაზღვრი-სას აღმოჩნდა, რომ გადახრა საშუალო შედეგი-დან ყოველ კაფსულაში არ აღემატებოდა 11,3 პროცენტს. კაფსულის დაშლა შეისწავლებოდა 0,1 მოლი/ლ ქლორნიტურის 37 გრადუს ს-ზე. დაშლის დრო არ აღემატებოდა 20 წუთს. მო-ქმედ ნივთიერებათა კაფსულებიდან გამოთავი-სუფლების პროცესში გამხსნელ არედ გამოიყე-ნებოდა 0,1 მოლი/ლ ქლორნიტურის 37 გრადუს ს-ზე. დაშლის დრო არ აღემატებოდა 6,0 წუთს.

მიღებული შედეგების მიხედვით (სურათი 2) ყველა სამივე შემთხვევაში გამონთავისუფლების ხარისხი პრაქტიკულად ერთი და იგივეა და აღ-მატება 75 პროცენტს. უფრო მაღალია გამონთა-ვისუფლების კინეტიკა 0,1 მოლიპლ ქლორნიტუ-რის გადმუსავის ხსნარის შემთხვევაში, რაც აიხსნება

შელატინის კაფსულის გაჯირჯვებითა და გასკვიმით ამ არეში.

მიღებული შედეგები იძლევა საშუალებას გამოვიტანოთ დასკვნა კაფსულებიდან ბიოლოგიურად მოქმედი ნივთიერებები საკმაოდ კარგი განვის შესაძლებლობას კუჭის არეში იმ შემთხვევაშიც, როცა ავადმყოფს დარღვეული აქვს კუჭის წევენში მუავიანობა. ამასთან ერთად ამ თვისებათა მატარებელია ყველა ის ქარული პრეპარატები, რომლის დამზადებაშიც ის გამოიყენება. მაგალითად, „აპიპულმო“ და „აპიპეპატი“ და ისინი რეკომენდირებული უნდა იყოს ფართო სპექტრით გამოყენებისათვის.

კაფსულებში მოქმედი ნივთიერების რაოდენობრივი შემცველობის განსაზღვრისთვის შემუშავებული იქნა შემდეგი მეთოდიკა. ათ კაფსულა განთავისუფლებული შიგთავსიდან იწონება  $\pm 0,0002$  გ. სიზუსტით. რის შემდეგ შეირჩევა სინჯები 0,2 გ. მასით (ზუსტი წონაკი), თავსდება კოლბში, ემატება 100 მლ დისტილირებული წყალი 37 და შეანჯლრევენ. გახსნის შემდეგ გააცივებენ 20 გრადუსამდე, უმატებენ 10 მლ ინდიგოკარნინს და ტიტრავენ 0,02 მოლ/ლ კალიუმის პერმანგანატის ხსნარით, ოქროსფერი შეფერილობის წარმოქმნამდე. პარალელურად ატარებენ საკონტროლო ცდას. მიღებული შედეგები გადაიანგარიშება ერთ კაფსულაში ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებაზე.


1. ხოსიტაშვილი ვ.ლ., სარქსელიანი ზ.ა., იავიჩ პ.ა., ხოსიტაშვილი ლ.ვ.

Вестник Российской воениии-медицинской академии 2008, № 3, с. 226.

2. ხოსიტაშვილი ლ.Б., ხოსიტაშვილი ვ.ლ., იავიჩ პ.ა., ჭუდაძე ლ.И.

Грузинской хим.ж. 2006, № 1, с.60.

3. Государственная фармакопея Грузии 2003 г, т.2.



კაფსულებიდან ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა გამონთავისუფლებული კინეტიკა. 1. 0,1 მოლ/ლ HCL 2. წყალი. 3. ბუფერული ხსნარი PH 6

დრო წუთებში	% გამოწვლილვის		ბუფერი PH=6,0
	0,1 NHCL	H <sub>2</sub> O	
10	20,5	8,3	12,5
20	49,2	31,2	38,6
25	69,0	44,6	55,6
30	70,3	62,9	64,3
35	73,0	70,3	72,1
40	76,3	72,1	76,0
45	78,9	75,9	76,3

## ახალი ანტაცილი (გევისპონ/გევისპონ-ფორტე) ეპიტელ ვარმაციულ ბაზარზე

ე.ე.ერცია 6.მართვაშვილი

სადღეისოდ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებიდან ყველაზე გავრცელებულ პათოლოგიად ითვლება გასტროეზოფაგური რეფლუქსი. ეს დაავადება შეიძლება განისაზღვროს, როგორც სინდრომი ან კლინიკური მდგრმარება განვითარებული კუჭის წვენის მიერ საყლაპავის ლორწოვანის დაზიანების შედეგად. კლინიკური ნიშნებია: გულმარვა, მჟავე ბოყინი და დისფაგია (ყლაპვის გაძნელება).

გასტროეზოფაგური რეფლუქსი -მულტიფაქტორული დაავადებაა. მის განვითარებას ხელს უწყობს შემდეგი ფაქტორები: სამუშაო

დღის განავლობაში სხეულის დახრილი მდგომარეობაში ყოფნა (კომპიუტერთან მუშაობა), ჭარბი წონა, მოწევა, ზოგიერთი პრეპარატები (კალციუმის ანტაგონისტები, ანტიქოლინერგული პრეპარატები, ბეტა-ადრენობლოკატორები და სხვ), კვების თავისებურებები (ცხიმი, შოკოლადი, ყვავა, ალკოჰოლი, ცხარე საკვები და სხვ).

რეფლუქსის განვითარების უშაუალო მიზეზს წარმოადგენს კუჭის (პეპსინი, მარილმჟავა) ან დუოდენალური (ნაღლის მჟავები, ლიზოლეციტინი) წვენის ხანგრძლივი კონტაქტი საყლაპავის ტრაქტის ლორწოვან გარსთან.

ასევე სახელდება შემდეგი მიზეზები: კუჭის კარდიალური ნაწილის ჩამკეტი მექანიზმის არასრულყოფილი ფუნქციონირება; კუჭის და დუღენალური შიგთავსის რეფლუქსი საყალაპვები; საყალაპავის კლინიკების დაქვეითება; საყალაპავის ლორწოვანი გარსისი რეზისტენტობის დაქვეითება.

ამგვარად, გასტროეზოფაგური რეფლუქსი არის ქრონიკული მორცეილივე დაავადება, რომელიც გამოწვეულია საყალაპავის ტრაქტში კუჭის და დუღენალური შიგთავსის სპონტანურად-რეტროგრადულად განმეორებებითი დაბრუნებებით. რაც თავის მხრივ იწვევეს საყლაპავის დისტალური ნაწილის დაზიანებას და/ანდა შესაბამისი სიმპტომების გაჩენას (გულმარვა, რეტროსტერნალური ტკივილები და დისფაგია).

გასტროეზოფაგური რეფლუქსის კლინიკური ნიშნები დიდი გარიაბელობით გამოიხატება დაწყებული გულმარვის ერთეული ეპიზოდებით დამთავრებული რეფლუქს-ეზოფაგიტის გართულებული ფორმებით. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ჩივილების საეციფიკიდან გამომდინარე დაავადების საწყის სტადიაზე მიმართვა ხდება ძირითადად ოჯახის ექიმებთან, ბავშვთა ასაკში კი პედიატრებთან.

ამიტომ ამ პროფილის საეციფიკიდებისთვის საინტერესო იქნება გასტროეზოფაგური რეფლუქსის მკურნალობის სქემებში ჩართული ახალი პრეპარატების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

გასტროეზოფაგური რეფლუქსის სამკურნალოდ გასტროეზოლოგიაში ტრადიციულად გამოიყენება პრეპარატების სამი ჯგუფი: პროტონული ტურბოს ინგიბიტორები, ჰისტამინის H<sub>2</sub>-რეცეპტორების ბლოკატორები და ანტაციდები. პირველი ორი ჯგუფის პრეპარატები ზემოქმედებენ რა პარიტეტულ უჯრედებზე, იწვევენ მარილმჟავას სეკრეციის დაქვეითებას. ანტაციდები კი მოქმედებენ უკვე კუჭის სანათურში გამოყოფილ მჟავაზე, ანუ დამცავი მოქმედების მექანიზმით. ანტაციდების კლინიკური მოქმედების შედეგი გამოვლინდება გულმარვის კუპირებით და ისეთი დისაეფსიური ჩივლების მოხსნით როგორიცაა ტკივილი და დისკომფორტი.

დღევანდელ ფარმაციულ ბაზარზე ანტაციდების ჯგუფის მრავალი პრეპარატი არის წარმოდგენილი. ამიტომ არსებობს კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს “იდეალური ანტაციდი”. ეს არის სწრაფი და ხანგრძლივი მოქმედება; ნალვილის კომპონენტების ასევე პეპსინის და იზოლუციის ადსორბციის უნარი, მოქმედების ბუფერულობა (PH-3,0-5,0) “მოხსნის” ფენომენის არარსებობა, ალუმინის და მაგნიუმის მინიმალური აბსორბცია, კარგი ორგანოლექტიკური თვისებები, მცირედი გერდითი ეფექტი.

ყველა ამ კრიტერიუმს აკმაყოფილებს ჩვენთან ახლად, ხოლო ევროპაში ბოლო 25 წლის მანძილზე ნომერ პირველ ანტაციდად აღიარებული ინგლისური პრეპარატი გევისკონი (და მისი კონცენტრირებული ფორმა - გევისკონ ფორტე). გევისკონი ერთ მხრივ არ ახდენს გავლენას კუჭის მიმდინარე მარილმჟავას სეკრეციაზე (ანუ არ ცვლის კუჭის ნორმალურ ფოზიოლოგიას) და მეორე მხრივ ინარჩუნებს საყლაპავის PH>4 ფარგლებში, რაც წარმოადგენს ერთ-ერთ წინაპირობას რეფლუქს-ეზოფაგიტის კლინიკო-ენდოსკოპიური რემისის მისაღწევად. გევისკონის მოქმედების ძირითადი ფარმაკოლოგიური ეფექტი დაკავშირებულია მასში შემავალ ნატრიუმის ალგინატთან (500გ/1გრ). პრეპარატის კუჭის წვენის ქლორწყალბადთან ურთიერთობის შედეგად წარმოქმნის გელის ჭიდრო ბარიერს, რომელიც იცავს საყლაპავის ლორწოვანს პეპსინის და მარილმჟავას შემდგრძელების ზემოქმედებისგან, რაც გამოიხატება დაბრუნებით. სწორედ გელის მიერ წარმოქმნილი ე.წ. მექანიკური-ტივტივა, უზურნველყოფს კუჭში არსებული შიგთავსის საყლაპავში უკან დაბრუნების პროცესის განვითარების შეწყვეტას. ეს თვისება წარმოად-

**GAVISCON®  
FORTE**

**რევერსი არეალი**  
**მომატებული მავარის**

- სწორად რევერსის ფუნქცია მთავრებულობასთან, რის შედეგადც ნიაზინმენი დოზები და დანენტერ ფარის, რომელიც ზღვას უძლის გამტრიუნალური რეალურებას
- არ არღვევს საჭმლის მონულების პროცესს და არ ცვლის კუსტს pH-ს.

**სწრაფი და სანერილივი მომატებება**

- ალინინგენია მდგრამარეობის გაუმჯობესება პრეპარატის შემდეგ.
- ახასიათებს ხანგრძლივი დამკავა მოქმედება - მინიმუმ 4 საათი.
- გამოიყენება ორსულობის პრინციპში.

**გევისკრინ** ფრენი

გენს გევისკრინის მოქმედის მექანიზმის მთავარ ფაქტორს. ასევე უნდა აღნიშნოს გევისკრინის სისტემური მოქმედების არ არსებობა, რადგან მისი მოქმედების მექანიზმი ხასიათდება ფიზიკური ფაქტორით (განსხვავებით სხვა ანტაციდებისგან რომელთა მიღების შემდეგაც ხდება ალუმინის კონცენტრაციის მომატება პლაზმასა და შარდში).

ასევე უნდა ავღნიშნოთ. რომ როგორც გევისკრინი ასევე გევისკრინ ფორმები მიეკუთვნება პრეპარატების იმ ჯგუფს რომლებიც მოწოდებულია Food and Drug Administration USA (FDA) მიერ როგორც ერთადერთი უსაფრთხო პრეპარატების ჯგუფის წარმოადგენელი ორსულებასა და მექუმურ დედებში. ორსულთა 50% მეტს ფიზოლოგიური პროცესებიდან გამომდინარე აღნიშნებად რეფლუქსის კლინიკური გამოვლინება.

გევისკრინი ინიშენა ასევე პედიატრიულ პრაქტიკაში 6 წლიდან 5-10 მლ კეტების შემდეგ და ძილის წინ. მაქსიმუმი დღისა დღე-ამჟამინ - 40 მგ. გევისკრინის დასაცავის მიუნაზუამა, რომელიც უძლის გამოსახულის გადატენილების რეალურობას (კლასიარა, მდგრ სიმინი), საკუთარო მავარის შემდეგ მოყვანას აუგის სიმინის შემჩნევა, მათ შემთ ირმულობას კრისტალი.

გევისკრინ ფორმები 12 წლიდან -10 მლ კვების შემდეგ და ძილის წინ. მაქსიმალური დოზა დღე-დამებში 40 მგ. აღსანიშნავია რომ გევისკრინი წარმოადგენს ორიგინალს. მისი მწარმოებელია Reckitt Benckiser Healthcare, Great Britain.

**GAVISCON®**

**Gaviscon - გულმარვის სამინერალურო ნებართვი აირველი არეალი არეალი**

**გევისკრინ**